

# წლიური ანგარიში

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების  
განვითარების ინსტიტუტი

2020

|                                                |    |
|------------------------------------------------|----|
| შესავალი                                       | 3  |
| კარგი მმართველობა                              | 4  |
| ღია მმართველობის კარტნიორობა                   | 15 |
| სახელმწიფო შესყიდვები                          | 21 |
| ანტიკორუფციული მიმართულება                     | 26 |
| კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები       | 31 |
| ადგილობრივი თვითმმართველობა და დეცენტრალიზაცია | 44 |
| მედია, ინტერნეტი და ინოვაციები                 | 48 |
| ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა                | 55 |
| მეხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევები        | 57 |
| ტრენინგები და ლექციები                         | 64 |
| კონსულტაციები                                  | 66 |
| IDFI-ის დონორი ორგანიზაციები                   | 67 |
| 2020 წელს დაწყებული პროექტები                  | 68 |
| 2020 წლის ფინანსური ანგარიში                   | 72 |

# შესავალი

როგორც წინა წლებში, 2020 წელსაც, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) საქმიანობა მიმართული იყო მტკიცებულებებზე დაფუძნებული კვლევების, მონიტორინგისა და ადვოკატირების გზით დემოკრატიისა და კარგი მმართველობის წინაშე არსებულ გამოწვევების გადასაჭრელად. კერძოდ, IDFI ხელს უწყობდა საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის გაუმჯობესებას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეების მონაწილეობის გაზრდას, კანონის უზენაესობის მაღალი სტანდარტების მიღწევას, ინკლუზიური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას, დემოკრატიული დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობას, ადამიანის უფლებების დაცვას.

2020 წელი კორონავირუსის პანდემიის გამო მნიშვნელოვანი გამოწვევების წელი იყო. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი სწავლობდა ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხებს და აკვირდებოდა კოვიდ-19 თან დაკავშირებულ რეგულაციებსა და სახელმწიფო ხარჯებს.

ასევე, IDFI იკვლევდა პანდემიით განპირობებულ იმ ძირითად გამოწვევებს, რომელიც ღია მმართველობის, ეკონომიკისა და სოციალური პოლიტიკის, კანონის უზენაესობის, დეზინფორმაციის, მედიასა და ინოვაციების კუთხით არსებობდა ქვეყანაში. შესაბამისად, Covid-19-ის პანდემიის გამოწვევების საპასუხოდ, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) განახორციელა სხვადასხვა აქტივობები. IDFI მთელი წლის განავლობაში ამზადებდა კვლევით/ანალიტიკურ მასალებს და რეკომენდაციებს, ვიდეორგოლებს, ვიზუალიზაციებს, ატარებდა ვებინარებს/ონლაინ დისკუსიებს და ტრენინგ-კურსებს.

2020 წელს IDFI აქტიურად ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას. კერძოდ, ბავშვთა ჰოსპის „ციცინათელის ქვეყანა“ გადასცა საჭირო სამედიცინო ინვენტარი, ხოლო სოციალურად დაუცველ პირებს - 2,000 ერთეული ვირუსისგან დამცავი პირბადე.

## 2020 წელს IDFI-მ:



მოამზადა 6 პოლიტიკის დოკუმენტი

მოამზადა 49 კვლევის დოკუმენტი

მოამზადა 14 ბლოგპოსტი

მოამზადა 14 ვიზუალიზაცია



ჩაატარა 1 საერთაშორისო კონფერენცია

ჩაატარა 2 ადგილობრივი კონფერენცია

ჩაატარა 11 ტრენინგი და ლექცია

გამართა 15 დისკუსია/პრეზენტაცია



2020 წელს IDFI-მ დაიწყო 17 ახალი პროექტი



IDFI-ის თანამშრომელთა რაოდენობა გაიზარდა 29-მდე



## კარგი მმართველობა

2020 წელს IDFI აქტიურად განაგრძობდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგის საქმიანობას, მართავდა სამუშაო შეხვედრებს, შესაბამის დაწესებულებებსა და დაინტერესებულ მხარეებს აწვდიდა რეკომენდაციებს. ასევე, ღია მონაცემების გამოყენების წასახალისებლად აწყო კონკურსებსა და ცდილობდა ამ კუთხით სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიის ცნობიერების ამაღლებას. IDFI ასევე განაგრძობდა მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მონიტორინგსა და ხელშეწყობას.

### კარგი მმართველობის ფორუმი 2020 - #GGFORUM2020

IDFI-მ 2020 წელს მეორედ გამართა საქართველოში საერთაშორისო კონფერენცია კარგი მმართველობისა და კორუფციასთან ბრძოლის საკითხებზე, სახელწოდებით „კარგი მმართველობის ფორუმი“ (GGForum). ამ წლისთვის ფორუმის მთავარი საკითხი პოლიტიკური კეთილსინდისიერება და არჩევნები იყო. ღონისძიება 2 ოქტომბერს, კოვიდ-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო ონლაინ ფორმატში ჩატარდა. კონფერენციის [მიზანი იყო პოლიტიკური გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ინოვაციური და ეფექტური მიდგომების განხილვა](#), განსაკუთრებით 2020 წლის ოქტომბერში დაგეგმილი საქართველოს საპარლამენტო არჩევნების ფონზე.



ლონისძიებაზე ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობით, დისკუსიები გაიმართა შემდეგ საკითხებზე:

- საარჩევნო კანონმდებლობა და პრაქტიკა
- პოლიტიკური შემოწირულობები და პოლიტიკური პარტიების დაფინანსება
- საარჩევნო კამპანიის დროს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება
- ლობიზმი და გამჭვირვალობის საერთაშორისო სტანდარტები.

კონფერენციაზე მოხსენებები გააკეთეს ამ საკითხებზე მომუშავე წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე, სხვადასხვა ქვეყნის საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებმა. მათ შორის, საერთაშორისო გამჭვირვალობა, საერთაშორისო IDEA, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES), ევროპარლამენტი, საჯარო სექტორში გამჭვირვალობის უზრუნველყოფი უმაღლესი ორგანო საფრანგეთში - HATVP, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP), საქართველოს აუდიტის სამსახური, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TI-G), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) და ა.შ. კონფერენციის პანელებისა და მომხსენებლების შესახებ დეტალური ინფორმაციის სანახავად, იხილეთ ფორუმის [დღის წესრიგი](#).

## პარტი მმართველობის ფორუმი 2020 რიცხვებში




**+80**

**მონაწილე**



**19**

**მომხსენებელი**



**10**

**ქვეყანა**



**5**

**სახია**

ფორუმი IDFI-მ ღია მმართველობის პარტნიორობასთან (OGP) თანამშრომლობითა და გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაციის, Luminate-ის მხარდაჭერით ჩაატარა.


IDFI-ის YouTube არხზე ხელმისაწვდომია ფორუმის სესიების ჩანაწერები:

- ▶▶ [კარგი მმართველობის ფორუმის მისასალმებელი სიტყვები](#)
- ▶▶ [პოლიტიკური პარტიების დაფინანსება და პოლიტიკური შემოწირულობები: კანონმდებლობა და პრაქტიკა](#)
- ▶▶ [ლობიზმი: გამჭვირვალობის საერთაშორისო სტანდარტები და მიმდინარე ტენდენციები](#)
- ▶▶ [ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება და წინასაარჩევნოდ ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები](#)
- ▶▶ [კარგი მმართველობის ფორუმის შეჯამება](#)


## საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში

IDFI-მ 2020 წელს საზოგადოებას წარუდგინა საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 2019 წლის მონიტორინგის შედეგები, რომელიც ეფუძნება 284 საჯარო დაწესებულებაში გაგზავნილი 6,240 მოთხოვნაზე მიღებულ პასუხებს.

სულ გაიგზავნა **6,240 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა**



მონიტორინგის შედეგების მიხედვით, 2019 წელს საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული პასუხების მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი იყო. ასევე, წინა წელთან შედარებით, დაახლოებით განახევრდა იმ საჯარო დაწესებულებების რიცხვი, რომელთაც გადაეცათ სპეციალური ჯილდო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის.



## სულ დაჯილდოვდა 25 საჯარო დაწესებულება

მათ შორის:

- **სტატისტიკის ეროვნული სამსახური**
- **სახალხო დამცველის აპარატი**
- **სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური**
- **ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი**
- **მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია**

ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებად კვლავ შეფასდა მთლიანად **იუსტიციის სამინისტროს სისტემა** და ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, **სახელმწიფო საზინა**.

COVID 19 პანდემიით შექმნილი კრიზისული მდგომარეობის ფონზე, როდესაც მნიშვნელოვნად გაიზარდა საბიუჯეტო სახსრების გაუმჭვირვალე და არარაციონალური განკარგვის რისკები, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მნიშვნელობა. მსგავსი რისკების ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის პირობებში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე დაწესებულმა შეზღუდვებმაც.

2020 წელს IDFI-მ ასევე, განახორციელა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში საქართველოს მიერ აღებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ვალდებულების, საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების, მონიტორინგი.


- **სულ მონიტორინგი ჩაუტარდა 121 საჯარო დაწესებულებას;**
- **ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის საშუალო მაჩვენებელი იყო 55%.**

2020 წელს IDFI-მ შეიმუშავა და რეკომენდაციის სახით ხელისუფლებას შესთავაზა კოვიდ-19 კრიზისის დროს საჯარო დაწესებულებების მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა, რომელიც საჯარო დაწესებულებებისათვის წარმოადგენდა პრაქტიკულ რეკომენდაციებს, თუ რა ტიპის მონაცემების ხელმისაწვდომობაა საჭირო, რათა საზოგადოებას ჰქონდეს სრულყოფილი ინფორმაცია პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში გატარებული ღონისძიებების შესახებ.

## ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის ადვოკატირება

### საქართველოს ღია მონაცემების ლაბორატორია - DataLab.Ge

საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებით მონაცემების ხელმისაწვდომობის გასაზრდე-  
ლად, IDFI მთელი წლის მანძილზე აგრძელებდა საქმიანობას ღია მონაცემების საკითხებზე. ინ-  
სტიტუტის მიერ შექმნილ **ღია მონაცემების პლატფორმაზე - DataLab.Ge** - გამოქვეყნდა დამა-  
ტებითი მონაცემთა ბაზები. 2020 წლის ბოლოს პორტალზე ხელმისაწვდომი იყო 1,300-მდე  
მონაცემთა ბაზა.



პლატფორმაზე მონაცემები ხელმისაწვდომია ღია, დამუშავებად ფორმატში (ექსელი და CSV).  
მონაცემების დათვალიერებასთან ერთად, მომხმარებელს შეუძლია:

- გაანალიზოს და დაამუშავოს მისთვის სასურველი ინფორმაცია;
- გამოსახოს მონაცემები მარტივი ვიზუალიზაციებით;
- გადმოწეროს მონაცემები ღია ფორმატში;
- გააზიაროს მონაცემები სოციალურ ქსელებსა და ვებგვერდებზე;
- შექმნას ახალი აპლიკაციები.


## ღია მონაცემების სახელმძღვანელო

მონაცემების გამოქვეყნებასთან ერთად, პორტალს  
ღია მონაცემების საკითხებზე საგანმანათლებლო  
დანიშნულებაც აქვს. 2020 წელს პლატფორმას დაე-  
მატა ახალი - [ღია მონაცემების პრაქტიკული სახელ-  
მძღვანელო](#), რომელიც თეორიული და პრაქტიკული  
მაგალითების მეშვეობით ღია მონაცემებით დაინტ-  
ერესებულ ადამიანებს, მკვლევრებს, ჟურნალისტებს,  
აქტივისტებს აწვდის ინფორმაციას მონაცემების  
მოპოვების, განმენდის, დამუშავების, გაანალიზებისა  
და ვიზუალურად გადმოცემის შესახებ.






საჯარო მონაცემების გამოყენებისა და ანალიტიკური სტატიების მომზადების წასახალისებლად, IDFI-მ უკვე მეორედ ჩაატარა [კონკურსი „მონაცემები ცვლილებებისთვის“](#), სადაც მონაცემებით დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ მოემზადებინათ საკუთარი სტატია საჯარო პოლიტიკისა და საჯარო ფინანსების საკითხებზე. კონკურსს საკმაოდ დიდი დაინტერესება მოჰყვა, რადგან 50-მდე საკონკურსო ნაშრომი იქნა წარმოდგენილი. მათგან უმრავლესობა ეხებოდა ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა: ეკოლოგია და გარემოს დაბუნძურება, არასრულწლოვანთა გამონკვევები საქართველოში, საჯარო ფინანსების განკარგვა, გენდერული უთანასწორობა და სხვა. [პროექტის საბოლოო პრეზენტაციაზე](#), ჩეხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში, პეტრ მიკისკამ და IDFI-ის წარმომადგენლებმა სამი გამარჯვებული დააჯილდოვეს, რომლებსაც ფულადი ჯილდო და სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.



## ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ადვოკატირება

21 იანვარს, IDFI-მ მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან ერთად (DEA) [გამართა შეხვედრა](#) თემაზე: ღია მონაცემების პლატფორმის - [WWW.DATA.GOV.GE](http://WWW.DATA.GOV.GE)-ის განვითარების გეგმები და პერსპექტივები. ღონისძიებაზე სამოქალაქო საზოგადოების, მედიის, ბიზნესისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან ერთად განხილული იყო ხსენებული ღია მონაცემების სამთავრობო პლატფორმის საჭიროებები, გამოწვევები და განვითარების გეგმები. IDFI-ის წარმომადგენლებმა დამსწრეებს გააცნეს ღია მონაცემების პლატფორმების საერთაშორისო მაგალითები და კარგი პრაქტიკა, რაც შესაძლოა გამოყენებულ იქნას საქართველოს ცენტრალური მონაცემთა პლატფორმის განახლებისას.



## IDFI - მონაცემების გლობალური ბარომეტრის (GDB) რეგიონული კაბი

2020 წლის ბოლოს IDFI [მონაცემების გლობალური ბარომეტრის \(GDB\)](#) ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ [ევროპის რეგიონული კაბი გახდა](#). GDB წარმოადგენს მონაცემების გლობალური ინდექსის კვლევას, რომელიც ეხება საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის მონაცემების მნიშვნელობას და ეფუძნება [ღია მონაცემების ბარომეტრს](#).


ინიციატივის ფარგლებში, საერთო მეთოდოლოგიის მიხედვით, მომზადდება საბაზისო კვლევა. 2020-2021 წლებში მონაცემების გლობალური ბარომეტრის პირველ გამოცემაში 120-ზე მეტი ქვეყანა მოხვდება.

## ღია მონაცემებისა და კლადფორმების მნიშვნელობა პანდემიასთან ბრძოლაში

Covid-19-ის გავრცელებასთან ბრძოლაში მნიშვნელოვანი გახლდათ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მონაცემების ხელმისაწვდომობა. IDFI-მ [მიმოიხილა](#) ღია მონაცემების გამოყენებით, პანდემიასთან ბრძოლის საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა და ცალკეულ ქვეყნებში მოქმედ წარმატებული ინიციატივები თუ აპლიკაციები, რომელთა მთავარი დანიშნულება პანდემიის გავრცელების პრევენცია, მოქალაქეთა სწორი ინფორმირება და ინოვაციური მიდგომებით პრობლემის გამკლავება გახლდათ.


## საჯარო მმართველობის რეფორმის ხელშეწყობა

ევროკავშირის მხარდაჭერით IDFI-მ მოამზადა და წარადგინა საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმის ოთხი მიმართულების შესრულების 2019 წლის ალტერნატიული მონიტორინგის ანგარიშები, რომელთა მიგნებები 2020 წლის ივლისში [გააცნო](#) საზოგადოებას. 2020 წლის 23 დეკემბერს ორგანიზაციამ [წარადგინა](#) 2020 წლის პირველი ექვსი თვის მონიტორინგის შედეგები. მონიტორინგის ანგარიშების ფარგლებში IDFI-მ შეიმუშავა რეკომენდაციები მონიტორინგისას იდენტიფიცირებული იმ გამოწვევების აღმოფხვრის მიზნით, რომლებსაც საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმა ვერ პასუხობს.



საჯარო მმართველობის რეფორმაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის გაზრდის მიზნით IDFI-მ და GYLA-მ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით, რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის საჯარო მმართველობის რეფორმის საკითხებზე ონლაინ ტრენინგები გამართეს.

საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების პროცესში დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ხელშესაწყობად ევროკავშირის და სიდა-ს მხარდაჭერით IDFI-მ შექმნა საჯარო მმართველობის რეფორმის მონიტორინგის ინტერაქტიული ელექტრონული პლატფორმა ([www.par-tracker.ge](http://www.par-tracker.ge)), რომელიც უზრუნველყოფს გარე მომხმარებლის ჩართულობას საჯარო მმართველობის განხორციელების და მონიტორინგის პროცესში. პლატფორმის ქმედითობის უზრუნველსაყოფად ორგანიზაციამ მოამზადა ვებგვერდის გამოყენებისთვის საორიენტაციო ვიდეო. ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით IDFI-მ ასევე მოამზადა საინფორმაციო ვიდეოები საჯარო მმართველობის რეფორმისა და მონიტორინგის ფარგლებში გამოკვეთილი ხარვეზების შესახებ.



IDFI-მ 2020 წლის თებერვალში სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წარუდგინა [მოსაზრებები](#) სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების პოლიტიკის დოკუმენტსა და სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით.

2020 წლის 10 მარტს IDFI-მ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით გამართა პირველი სისტემური [კვლევის](#) პრეზენტაცია, რომელიც საჯარო სექტორში გენდერული თანასწორობის კუთხით სამუშაო გარემოს, კარიერულ სვლას და პროფესიულ განვითარებას ასახავს.





2020 წლის ივლისში IDFI-მ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის „20 შედეგი 2020 წლისთვის“ ფარგლებში [შეატანა](#) საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების პროცესი და არსებული გამოწვევები.

## **IDFI-ის კომენტარები საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებულ ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის ანგარიშზე მდგრადი განვითარების მიზნების იმპლემენტაციის შესახებ**



## **HIGH-LEVEL POLITICAL FORUM ON SUSTAINABLE DEVELOPMENT**

2020 წლის ივნისს IDFI-მ გამოაქვეყნა კომენტარები საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებულ ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის ანგარიშზე (VNR) მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) იმპლემენტაციის შესახებ. 2020 წლის ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის ანგარიში მოიცავს ინფორმაციას 2016 წლიდან მდგრადი განვითარების მიზნების იმპლემენტაციის მიზნით გადადგმული ნაბიჯების შესახებ. [IDFI-მ საკუთარი კომენტარები](#) მიაწოდა მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათშორის საბჭოსაც (საბჭო).

## მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირების ანალიზი

23 იანვარს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს (საბჭო) დებულება. IDFI-იმ დეტალურად შეისწავლა დებულება და [წარმოადგინა საკუთარი მოსაზრებები და რეკომენდაციები](#). დებულებაში ახლებურად არის ჩამოყალიბებული საბჭოს დაკომპლექტებისა და საქმიანობის რიგი საკითხები. მათ შორის გათვალისწინებულია ის შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებზეც IDFI გასულ წლებში მიუთითებდა. კერძოდ უდავოდ მნიშვნელოვან დადებით ცვლილებას წარმოადგენდა მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს დამოუკიდებელ, საჯარო სამსახურის რეფორმის საბჭოსგან გამოცალკევებულ ერთეულად ჩამოყალიბება. დადებით ცვლილებას წარმოადგენდა ასევე საბჭოს საქმიანობის პროცესში ადგილობრივ თვითმმართველობათა, ისევე როგორც სახალხო

დამცველის ოფისის წარმომადგენლთა ჩართვის შესაძლებლობის დებულებით განმტკიცება. მიუხედავად აღნიშნულისა IDFI მიუთითებდა, რომ, კვლავაც რჩებოდა გამოწვევები ისეთი მიმართულებებით, როგორიც არის საბჭოსსამუშაო ჯგუფთა დაკომპლექტება, საბჭოსა და სამუშაო ჯგუფთა საქმიანობის გამჭვირვალობა, მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის პროცესში ბიზნეს სექტორის ჩართულობა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება მდგრადი განვითარების მიზნებზე.



## არასამთავრობო ორგანიზაციების ფორუმი - „სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობის გაძლიერება შავი ზღვის რეგიონში“


2020 წლის 27 ნოემბერს IDFI-მ მონაწილეობა მიიღო არასამთავრობო ორგანიზაციების ფორუმში - „სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობის გაძლიერება შავი ზღვის რეგიონში“. IDFI-იმ პლენარული სესიის ფარგლებში „მდგრადი განვითარების გაძლიერება შავი ზღვის რეგიონში 2020“ განიხილა საქართველოს გამოცდილება მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციისა და იმპლემენტაციის მიმართულებით. IDFI-მ ფორუმის მონაწილეებს გაუზიარა ასევე ინფორმაცია საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების ინსტიტუციონალიზაციის მიმართულებით განვილი გზის და აღნიშნულ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების როლის შესახებ. IDFI-მ ყურადღება გაამახვილა ასევე მოცემული მიმართულებით საქართველოში არსებულ გამოწვევებზე.



## ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP)

2020 წელს IDFI აქტიურად იყო წარმოდგენილი ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ეროვნულ დონეზე, საქართველოს ღია მმართველობის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოსთვის, სამოქალაქო სექტორის მიერ წარდგენილი სამი ვარსკვლავური ვალდებულებიდან ორი იყო IDFI-ის მიერ ინიცირებული, კერძოდ, მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივის (EITI) სტანდარტების დანერგვა და საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის შექმნა. ამავდროულად IDFI აქტიურად იღებდა მონაწილეობას საქართველოს ღია პარლამენტის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის კოორდინაციაში. IDFI-ს უშუალო ჩართულობით აჭარის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა, ღია მმართველობის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა.

### ეროვნული დონე



IDFI-ის, და ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატირების შედეგად, 2020 წლის 13 თებერვალს [საქართველოს მთავრობის დადგენილებით](#) შეიქმნა საქართველოს ღია მმართველობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. ღია მმართველობა საქართველოს ფორუმისგან განსხვავებით, სადაც სამინისტროების მონაწილეობა დამყარებული იყო ნებაყოფლობით პრინციპზე, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობას არ შეეძლო გადაწყვეტილებაზე ზემოქმედება, საკოორდინაციო საბჭოში


სავალდებულო წესით წარმოდგენილი არიან უმაღლესი თანამდებობის პირები. საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან სახელმწიფოს სამივე შტოს წარმომადგენლები - სამინისტროების წარმომადგენლები, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე და საქართველოს პარლამენტის ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საბჭოს თავმჯდომარე. ამავდროულად, არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის IDFI, როგორც უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრები, წარმოდგენილი არიან სათათბირო ხმის უფლებით, რაც ღია მმართველობის პარტნიორობის წევრ სახელმწიფოებს შორის აყალიბებს უნიკალურ პლატფორმას, რომელიც სახელმწიფო დაწესებულებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების კუმულატიური უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას იძლევა.

IDFI-მ საქართველოს ღია მმართველობის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს წარუდგინა ვალდებულებები, რომლებიც განსახილველად გაეგზავნათ საბჭოში შემავალ სახელმწიფო უწყებებს. [IDFI-ის მიერ წარმოდგენილი ვალდებულებები](#) დაფუძნებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე, მათ შორის OGP-ის წევრი სახელმწიფოების მიერ აღებული ვალდებულებებზე და მიზნად ისახავს საქართველოში მოქალაქეთა ჩართულობისა და კანონის უზენაესობის გაძლიერებას, მონაცემებზე წვდომის და ინფორმაციის თავისუფლების გაზრდას, კორუფციასთან ბრძოლას და სახელმწიფო უწყებების მეტი გამჭვირვალობის ხელშეწყობას. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო სექტორის მიერ წარდგენილი სამი ვარსკვლავური ვალდებულებიდან ორი იყო IDFI-ის მიერ ინიცირებული, კერძოდ, მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივის (EITI) სტანდარტების დანერგვა და საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის შექმნა.

## ღია პარლამენტი

IDFI, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით, მჭიდროდ თანამშრომლობდა ღია მმართველობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან და მის სამდივნოსთან, ორგანიზებას უწევდა საპარლამენტო საბჭოს შეხვედრებს და კოორდინირებდა საპარლამენტო საბჭოსთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფის საქმიანობას.

2020 წლის 2 მარტს გაიმართა საპარლამენტო საბჭოს სხდომა, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. სხდომაზე განხილულ იქნა საქართველოს 2018-2019 წლების ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულებების შესრულების საკითხი.



პანდემიის მიუხედავად, საპარლამენტო საბჭომ განაგრძო საქმიანობა და 2020 წლის 30 ივნისს ჩაატარა [პირველი დისტანციური შეხვედრა](#), რომელსაც საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე - კახა კუჭავა - უძღვებოდა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საკონსულტაციო ჯგუფის წარმომადგენლებმაც. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს 2018-2019 წლების ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის შესრულების საკითხი, და ამავდროულად, დაიწყეს მზადება 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით. საპარლამენტო საბჭომ სამოქმედო გეგმის ვალდებულებების გამოსაგზავნად განსაზღვრა კონკრეტული ვადა, და საკონსულტაციო ჯგუფის

წევრებმა, მათ შორის IDFI-მ, გაუგზავნეს საპარლამენტო საბჭოს სამდივნოს ვალდებულებების სამუშაო ვერსიები. IDFI-ის მიერ გაგზავნილი ვალდებულებები მიზნად ისახავს საპარლამენტო საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდას, და მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებასა და მათი ჩართულობის ხელშეწყობას საკანონმდებლო პროცესში.



[საპარლამენტო საბჭომ და საკონსულტაციო ჯგუფმა 2020 წლის 20-22 ივლისს ჩაატარეს გასვლითი სამუშაო შეხვედრა](#) ღია პარლამენტის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის ვალდებულებების განხილვისა და შემუშავების მიზნით. აღნიშნული სამუშაო შეხვედრის შედეგად მომზადდა ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის სამუშაო რედაქცია, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება 2020 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაკომპლექტებულ საპარლამენტო საბჭოს განახლებულ შემადგენლობას.

აღსანიშნავია IDFI-ის როლი პარლამენტის ცნობადობის გაძლიერების თვალსაზრისით. ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით, IDFI-მ შექმნა პარლამენტის მობილური აპლიკაციის პოპულარიზაციის ხელშეწყობი ვიდეო. ამავდროულად, IDFI-მ გაეროს განვითარების პროგრამისა და საქართველოს პარლამენტის ჩართულობით შეიმუშავა საპარლამენტო საქმიანობის ამსახველი 23 ბროშურის (საიდანაც 13 ბროშურა ასახავს საქართველოს პარლამენტის დეპარტამენტების საქმიანობას, და 10 ბროშურა აღწერს მოქალაქეების საპარლამენტო საქმიანობაში ჩართულობის ელექტრონულ და საკანონმდებლო მექანიზმებს) ტექსტი და დიზაინი. აღნიშნული ბროშურების მიზანია გაზარდოს მოქალაქეების ცნობიერება მათ შორის ისეთ საკითხებთან დაკავშირებით როგორიცაა პეტიცია, საკანონმდებლო ინიციატივა, საპარლამენტო ღიაობა, საქართველოს პარლამენტის მობილური აპლიკაცია (Geo Parliament) და საქართველოს პარლამენტის კომიტეტების საქმიანობა.

აღსანიშნავია, რომ IDFI-მ, გაეროს განვითარების პროგრამის ჩართულობით, შეიმუშავა საპარლამენტო საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის გზამკვლევი, სადაც მარტივ და გასაგებ ენაზე არის ახსნილი კანონშემოქმედებითი პროცესი და მოქალაქის როლი აღნიშნულ პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ IDFI-მ საქართველოს პარლამენტის მოქალაქეთა მისაღებისთვის შეიძინა ინტერაქტიული დეშბორდი და შეიმუშავა დეშბორდის კონცეფცია. დეშბორდის მეშვეობით მოქალაქე შეძლებს საქართველოს პარლამენტთან და საპარლამენტო საქმიანობაში ჩართვის შესახებ ინფორმაციის მიღებას.

პანდემიის შედეგად შექმნილი გამოწვევების საპასუხოდ, მოქალაქეებში ცნობიერების ამაღლების მიზნით, შექმნა ოთხი ინფოგრაფიკა, სადაც ასახულია ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტები, [მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული შეზღუდვები, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მექანიზმები, საგანგებო მდგომარეობის დროს საკანონმდებლო პროცესში ჩართვის საშუალებები და საქართველოს პარლამენტის როლი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პირობებში](#). აღსანიშნავია, რომ ინფოგრაფიკები ითარგმნა და გავრცელდა სოციალურ ქსელში აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზეც.

## აჭარის ღია უმაღლესი საბჭო

2020 წელს, IDFI-ის საქმიანობა განსაკუთრებით შედეგიანი იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში ღია მმართველობის პრინციპების დანერგვის თვალსაზრისით. IDFI-მ მხარი დაუჭირა აჭარის უმაღლეს საბჭოს ღია მმართველობის პარტნიორობაში ჩართვის პროცესის ინსტიტუციონალიზაციასა და აჭარის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

2020 წლის განმავლობაში IDFI-მ რამდენიმე შეხვედრა ჩაატარა როგორც აჭარის უმაღლესი საბჭოს, ასევე, აჭარაში მოქმედ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. IDFI-მ ხელი შეუწყო აჭარის უმაღლეს საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს შესაქმნელად რეგლამენტში შესატან ცვლილებებს, ხოლო შემდეგში, მონაწილეობა მიიღო ღია მმართველობის საბჭოს დებულების მომზადებაში. ამავდროულად, აწარმოა აქტიური ადვოკატირების კამპანია აჭარაში მოღვაწე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, იმისათვის, რომ ღია მმართველობის საბჭოსთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფი დაკომპლექტებული ყოფილიყო არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებით.

2020 წლის 30 აპრილს [აჭარის უმაღლესმა საბჭომ ცვლილებები შეიტანა რეგლამენტში, რითაც სამართლებრივი საფუძველი შეუქმნა](#) აჭარის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს შექმნას, რასაც მოგვიანებით მოჰყვა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებით დაკომპლექტებული [ღია მმართველობის საბჭოს საკონსულტაციო ჯგუფის ფორმირება](#).

IDFI-მ, გაეროს განვითარების პროგრამის ჩართულობით, ჩაატარა ღია მმართველობის პარტნიორობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი რამდენიმე შეხვედრა როგორც ღია მმართველობის საბჭოსთან, ასევე, საკონსულტაციო ჯგუფთან. შეხვედრების ნაწილი ჩატარდა დისტანციურად. განსაკუთრებით აღსანიშნავია [14 ივლისის დისტანციური შეხვედრა ღია მმართველობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსა და აჭარის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს შორის](#), სადაც, ასევე, მონაწილეობა მიიღეს ორივე საბჭოს სამდივნოების წარმომადგენლებმა. საპარლამენტო საბჭოს წარმომადგენლებმა აჭარელ კოლეგებს გაუზიარეს საკანონმდებლო ორგანოში ღია მმართველობის პარტნიორობის დანერგვის გამოცდილება. მნიშვნელოვანი იყო გამოცდილების გაცვლა სამდივნოს წარმომადგენლებს შორისაც, რადგან სწორედ სამდივნო ახორციელებს საბჭოს საქმიანობის აქტიურ კოორდინაციას.



2020 წლის 6-7 აგვისტოს, IDFI-ის ორგანიზებით [ღია მმართველობის საბჭომ და მასთან არსებულმა საკონსულტაციო ჯგუფმა გამართეს სამუშაო შეხვედრა](#). სამუშაო შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს აჭარის ღია მმართველობის საბჭოს 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმაში შესატანი ვალდებულებების სამუშაო ვერსიები. განხილვის შედეგად შემუშავდა სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია, რომლის [საბოლოო რედაქცია დამტკიცდა 14 აგვისტოს აჭარის უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ](#). სამოქმედო გეგმა შედგება 15 ვალდებულებისგან, და სხვა საკითხების განხორციელებასთან ერთად, მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს კანონშემოქმედებით პროცესში მოქალაქეების ჩართულობას, სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით მთავრობაზე ზედამხედველობის გაძლიერებას, და ელექტრონული და წერილობითი პეტიციების სისტემების შექმნას. ასევე, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია აჭარის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდისა და შენობის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მოთხოვნებთან ადაპტაციის კონცეფციის მომზადება.

IDFI-მ უზრუნველყო დასახელებული სამოქმედო გეგმის თარგმნა ინგლისურ ენაზე და სამოქმედო გეგმისა და ამ გეგმის განსახორციელებელი [კალენდრის](#) დამზადება და ბეჭდვა.



დამატებით, აღსანიშნავია, რომ პანდემიის მიერ შექმნილ გამოწვევებთან გამკლავების მიზნით, IDFI-მ უზრუნველყო აჭარის უმაღლესი საბჭოს თანამშრომლებისათვის ტრენინგის ორგანიზება [დისტანციური მართვისა და კომუნიკაციის უნარების](#) გაძლიერების თვალსაზრისით. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ IDFI-მ, აჭარის უმაღლესი საბჭოს თანამშრომლებს ტრენინგი ჩაუტარა ღია მონაცემებსა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. ტრენინგები ჩატარდა დისტანციურად.

## საერთაშორისო დონა


[2020 წლის ოქტომბერში გიორგი კლდიაშვილს ამოუწურა OGP-ის მმართველი კომიტეტის წევრობის ვადა.](#) მმართველი კომიტეტის წევრობის ფარგლებში, გიორგი კლდიაშვილი აქტიურად მონაწილეობდა კოლეგებთან ერთად ღია მმართველობის პარტნიორობის პოლიტიკის და სტანდარტების შემუშავებაში, გლობალური და რეგიონული მასშტაბით ადვოკატირებდა სხვადასხვა ინიციატივას. მისი რეგიონული მიმართულებები იყო აზია და წყნარი ოკეანის ქვეყნები.

IDFI-მ წამოიწყო [აქტიური ადვოკატირების კამპანია](#), რომელიც მომდევნო წელს უფრო სიღრმისეულ ფაზაში გადავა. კერძოდ, კამპანიის მიზანია 2030 წლისთვის განხორციელდეს OGP-ის ტრანსფორმაცია მისი მოქალაქეების საჭიროებებთან კიდევ უფრო მეტად შესაბამისობის მიზნით, და ამავედროულად, გაძლიერდეს [სინერგია OGP-ის და სხვა საერთაშორისო პლატფორმებს](#) შორის მათ შემდგომი დაახლოებისა და მოქალაქეებზე ორიენტირებული ამოცანების გადაწყვეტისა და სამთავრობო სტრუქტურების ანგარიშვალდებულების გაძლიერების გზით.



## სახელმწიფო შესყიდვები


### IDFI-ის გლობალური ინიციატივა - გამჭვირვალე სახელმწიფო შესყიდვების რეიტინგი



გამჭვირვალე სახელმწიფო შესყიდვების რეიტინგი (TPPR) წარმოადგენს IDFI-ის გლობალურ ინიციატივას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს გამჭვირვალე სახელმწიფო შესყიდვების სისტემათა დანერგვას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. აღნიშნული მიიღწევა სახელმწიფო შესყიდვათა სისტემების შეფასებით, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთით, ქვეყნების შედარებით, რეიტინგის შედგენითა და TPPR-ის პარტნიორთა ქსელის ერთიანი ადვოკატირებით.

2020 წლის განმავლობაში IDFI აქტიურად განაგრძობდა გამჭვირვალე სახელმწიფო შესყიდვების რეიტინგის (TPPR) გაფართოებას. შედეგად TPPR-ის პარტნიორთა ქსელს დაემატა ორგანიზაციები ისეთი ქვეყნებიდან როგორც არის ბენინი, ბურუნდი, ეკვადორი, მექსიკა, მოზამბიკი, სენეგალი, ვენესუელა და კოტ-დივუარი. დღეის მდგომარეობით რეიტინგი ფარავს 40 ქვეყანას ევროპის, აზიის და ოკეანეთის, აფრიკის და სამხრეთ ამერიკის რეგიონებიდან. IDFI აქტიურად თანამშრომლობს TPPR-ის პარტნიორ ორგანიზაციებთან, ერთიანი ძალებით ადვოკატირებისა და სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით პოზიტიური ცვლილებების მხარდაჭერის მიზნით.

2020 წელს ღია მმართველობის პარტნიორობამ (OGP) TPPR აღიარა სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით კარგი მმართველობის მონიტორინგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ და დაამატა IDFI მისი პლაფორმით TPPR საკუთარი პარტნიორი ორგანიზაციების სიაში სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობის მიმართულებით.



IDFI-მ მოამზადა გამჭვირვალე სახელმწიფო შესყიდვების რეიტინგის ყოვლისმომცველი [ანგარიში](#) რომელიც ფარავს პერიოდს 2016 წლიდან 2020 წლის ჩათვლით. ანგარიში იძლევა რეიტინგში შემავალი თითოეული ქვეყნის სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის დეტალურ შეფასებას, ანალიზებს შესყიდვების კანონმდებლობების სუსტ და ძლიერ მხარეებს და იძლევა თითოეულ ქვეყანაზე მორგებულ რეკომენდაციებს. ანგარიში ასევე მოიცავს დეტალურ სტატისტიკურ ანალიზს და გამჭვირვალე სახელმწიფო შესყიდვების რეიტინგს. არსებულ რეიტინგის საწყის პოზიციებს იკავებენ უკრაინა, მოლდოვა და საქართველო. ყველა მოცემული ქვეყნის სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა შეფასდა 90%-ზე მაღალი ქულით. სტატისტიკურმა ანალიზმა გამოავლინა პრობლემური ქვეყნებიც, რეიტინგში ყველაზე დაბალი ქულით შეფასებულია ტაჯიკეთი და პაპუა-ახალი გვინეა. ორი-

ვე ქვეყნის ქულა 40%-ზე დაბალია. ანალიზის შედეგად დადგინდა ისიც რომ გამჭვირვალობის სტანდარტების დაცვა ქვეყნებს ყველაზე მეტად სახელმწიფო შესყიდვების პოსტ-სატენდერო ეტაპზე უძნელდებათ. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ ქვეყნები იშვიათად აქვეყნებენ ინფორმაციას კონტრაქტში შესული ცვლილებების, ქვე-კონტრაქტორების, ხელშეკრულებათა შესრულებისა და აუდიტის ანგარიშების შესახებ.

## რეკომენდაციები კორონა ვირუსთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ

გლობალური პანდემიით გამოწვეული კრიზის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო შესყიდვათა სწრაფად და ეფექტიანად განხორციელება, რათა სახელმწიფომ შეისყიდოს საჭონელი და მომსახურება, რომელიც აუცილებელია Covid-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნებისთვის. თუმცა შესყიდვათა გამარტივებული გზით განხორციელება არ უნდა გამორიცხავდეს პროცესის ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობასთან. მეტიც, მოცემულ ვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პროცესის ღიაობა, იმისთვის რომ თავიდან იქნეს აცილებული კორუფციული რისკების შესახებ საზოგადოებაში კითხვების გაჩენა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიეცეს შესაძლებლობა თვალი ადევნოს ბიუჯეტის ხარჯვის მიზნობრიობას ყოველი კონკრეტული შესყიდვის განხორციელების პროცესში.

კორონა ვირუსით განპირობებული გლობალური გამოწვევების საპასუხოდ IDFI-მ შეიმუშავა [რეკომენდაციები პანდემიის პირობებში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ](#). დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმისთვის რომ თავიდან იქნეს აცილებული კორუფციული რისკები კორონა ვირუსთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში.

## **კვლევა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განმხილველი საბჭოს დამოუკიდებლობის შესახებ**

2020 წლის მაისში IDFI-მ შეიმუშავა [დოკუმენტი](#), რომლის ფარგლებშიც გამოიკვლია თუ რამდენად ჯეროვნად შეასრულა საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით 6 წლის წინ ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, შექმნა/შეინარჩუნა საჯარო შესყიდვების სისტემის სათანადო ფუნქციონირებისთვის აუცილებელი შესაბამისი ინსტიტუციური ჩარჩო - სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განმხილველი მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი ორგანო.

IDFI-მ კვლევის ფარგლებში გაანალიზა დავის განმხილველ ორგანოებთან დაკავშირებული ევროკავშირის სტანდარტები. ამისათვის მიმოიხილა რელევანტური სამართლებრივი დოკუმენტები, ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ერთობლივი ინიციატივა, SIGMA-ს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) რეკომენდაციები. გარდა ამისა, IDFI-მ გამოიკვლია საქართველოს ილუსტრაციისთვის გამოიკვლია სლოვენიისა და ხორვატიის საკანონმდებლო ჩარჩო, რადგან ამ ქვეყნებს ახლო წარსულში სწორედ იმ სამართლებრივ დოკუმენტებთან მოუწია სისტემის ჰარმონიზება და იმ გზების გავლა, რაც საქართველოს.

IDFI-მ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულების 143-ე მუხლით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვან შესრულება და შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლებიც აუცილებელია რომ გადაიდგას ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად და მოქალაქეთა მიერ დავების განმხილველი საბჭოს დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ორგანოდ აღსაქმელად.

## **რეგიონული კონფერენცია - ღია მონაცემები სახელმწიფო შესყიდვებში**

10-19 ნოემბერს, IDFI-მ მონაწილეობა მიიღო რეგიონულ კონფერენციაში, რომელიც ეძღვნებოდა სახელმწიფო შესყიდვებში მონაცემთა ღიაობის საკითხს. ღონისძიება ორგანიზებული იყო IDFI-ის საერთაშორისო პარტნიორების Hivos-ის, ღია მმართველობის პარტნიორობისა (OGP) და Open Contracting Partnership-ის მიერ. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოებათა წარმომადგენლები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონებიდან.

IDFI-ი წარმოადგენდა საქართველოს სამუშაო ჯგუფის ფასილიტატორს და გამჭვირვალე სახელმწიფო შესყიდვების რეიტინგის პანელის ორგანიზატორს. აღნიშნული პანელის ფარგლებში IDFI-მ მონაწილეებს გააცნო TPPR-ის პლატფორმა, კონფერენციაზე სიტყვით წარსდგნენ IDFI-ის პარტნიორები იური მორცოტილო ორგანიზაცია Expert Grup-დან და იზაბელ ადამსი ორგანიზაციიდან Government Transparency Institute.

ღონისძიების შედეგად მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებმა შეიმუშავეს სახელმწიფო შესყიდვებში მონაცემთა ღიაობის მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობები, გაუზიარეს მონაწილეებს საკუთარ ქვეყნებში არსებული გამოცდილება და წარმოაჩინეს მომავალი ახლო თანამშრომლობის მზადყოფნა.

## **საინფორმაციო სესია - ყირგიზეთის სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შეფასება**

2020 წლის დეკემბერში IDFI-მ ჩაატარა [საინფორმაციო სესია](#) ყირგიზეთის საჯარო მოხელეებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის. სესიის ფარგლებში IDFI-მ დამსწრე პირებს გააცნო TPPR-ის მეთოდოლოგია და ყირგიზეთის სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შეფასება. მონაწილეებმა განიხილეს ყირგიზეთის სახელმწიფო შესყიდვების სუსტი და ძლიერი მხარეები, ისევე როგორ არსებულ გამოწვევათა საპასუხოდ შესასრულებელი ღონისძიებები. სესიის ფარგლებში დისკუსია გაიმართა ღია მმართველობა პარტნიორობის ფარგლებში ყირგიზეთის მიერ აღებული ვალდებულებისა და მათი მნიშვნელობის შესახებ ქვეყნის სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფისთვის.

## **ანალიტიკური სტატიები TPPR პარტნიორ ქვეყნებში სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით არსებული გამოწვევების შესახებ**

2020 წლის განმავლობაში საერთაშორისო პარტიორებთან აქტიური თანამშრომლობით IDFI-მ გამოაქვეყნა ანალიტიკური სტატიები ვენესუელაში, უკრაინასა და ალბანეთში სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით არსებული მდოგმარეობისა და არსებული გამოქვეყნების შესახებ.

დანიელ როსას რივეროს სტატია [„სახელმწიფო შესყიდვები ვენესუელაში: მნიშვნელოვანი გამოწვევების მოლოდინში“](#) მიმოიხილავს ბოლო 10 წლის განმავლობაში ვენესუელაში განხორციელებულ ცვლილებებს სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით და აღნიშნავს, რომ ვენესუელაში ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს არა სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა არამედ მისი აღქმა საზოგადოების მხრიდან როგორ კორუფციისთვის განსაკუთრებით მოწყვლადი ერთ-ერთი სექტორი.

ალბანეთის მეცნიერების ინსტიტუტთან თანამშრომლობით მომზადდა ანალიტიკური სტატია [„ალბანეთის მთავრობა COVID 19-თან დაკავშირებულ შესყიდვებს საიდუმლო კონტრაქტების გზით ახორციელებს“](#). სტატია მოიცავს ალბანეთს მთავრობის მიერ დანერგილი პრაქტიკის აღწერას, როდესაც COVID-19-თან დაკავშირებული შესყიდვები ხორციელდება გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სტანდარტების სრული იგნორირებით და განიხილავს აღნიშნულიდან გამომდინარე კორუფციული და არაკეთილსინდისიერი ქმედებების საშიშროებას.

IDFI-მ მოამზადა ასევე [სტატია უკრაინაში ინიცირებული კანონპროექტის შესახებ](#), რომელიც საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის წამყვან პოზიციას გამჭვირვალე სახელმწიფო შესყიდვების რეიტინგში და მიმოიხილა თუ რა გავლენას მოახდენდა ის უკრაინის შესყიდვების კანონმდებლობასა და პროცედურებზე.





## ანტიკორუფციული მიმართულება

IDFI აქტიურად განაგრძობს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობას. ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ძალისხმევა ანტიკორუფციული მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას უკავშირდება, რაც, მათ შორის, საგანმანათლებლო სასერტიფიკატო პროგრამის განხორციელებაში გამოიხატება.

IDFI აკვირდება ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შესრულებას და აქტიურად მონაწილეობს მონიტორინგის პროცესში. IDFI ამუშავებს კორუფციასთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოში არსებული მდგომარეობის შეფასებას, ანალიზებს და პერიოდულად აქვეყნებს მათ შედეგებს.

IDFI-მ 2020 წლის განმავლობაში დაამუშავა და გამოაქვეყნა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ საქართველოს ანტიკორუფციული მაჩვენებლების მდგომარეობის ამსახველი [ანალიზი](#), მსოფლიო ბანკის შეფასების [შედეგები](#), ევროსაბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის [შეფასება](#) საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ, ბიზნესის კორუფციის რისკის ინდექსის 2020 წლის [მაჩვენებლები](#).

2019-2020 წლებში საქართველო რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგში [მოხვდა](#). ყველა მათგანი მიუთითებს ქვეყანაში კორუფციის მდგომარეობის გაუარესებაზე, რის ერთ-ერთ მიზეზად მაღალი დონის კორუფცია სახელდება. კორუფციასთან მეტბრძოლ არსებულ უწყებებში ყველაზე პრობლემური მათი დამოუკიდებლობის საკითხია. არსებული ანტიკორუფციული სისტემის ხარვეზების გათვალისწინებით IDFI 2020 წლის განმავლობაში კვლავ [ადვოკატირებდა](#) ისეთი დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახურის შექმნას, რომელსაც ექნება საზოგადოების ნდობა, დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი და შესაბამისი კვალიფიკაცია იმისათვის, რომ გამოიძიოს მაღალი დონის კორუფციის შემთხვევები და პასუხი გასცეს საზოგადოებაში დაგროვილ ლეგიტიმურ შეკითხვებს.

ახალი კორონავირუსის შედეგად შექმნილი სიტუაციის პირობებში IDFI თავიდანვე აქტიურად განიხილავდა პანდემიის ფარგლებში [კორუფციული რისკების](#) ზრდის საშიშროების საკითხს.

## IDFI-ის ანალიტიკური და ხელისუფლების საქმიანობის მაკონტროლებელი საქმიანობა


წინა წლების მსგავსად, IDFI 2020 წელსაც აგრძელებდა ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგს, რის ფარგლებშიც ინსტიტუტმა რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევა და ანალიზი გამოაქვეყნა:

- ▶ Covid-19-თან დაკავშირებული შესყიდვები: კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ქვეყანაში შემოღებული საგანგებო მდგომარეობის დროს სახელმწიფო სტრუქტურები

ადარ სარგებლობდნენ ელექტრონული ტენდერებით. 21 მარტიდან 15 ნოემბრის ჩათვლით<sup>1</sup>, Covid-19-თან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ანალიზმა აჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში მიმწოდებელი კომპანიები იყვნენ მმართველი პარტიის შემომწირველები, ხელშეკრულების გაფორმებამდე რამდენიმე დღით ადრე დაფუძნებული კომპანიები და ზოგ შემთხვევაში, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე რადიკალურად განსხვავებულ სფეროში მოღვაწეობდნენ.

►► პოლიტიკური შემოწირულობები: თავისუფალი ნება თუ ბიზნეს ინვესტიცია? - 2020 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების გამო მნიშვნელოვანი გახლდათ პოლიტიკური პარტიების შემოწირულობების ანალიზი. 2019-2020 წლის 3 ივნისამდე პერიოდის შემოწირულობების მონიტორინგით დადგინდა მმართველი პარტიის სასარგებლოდ განხორციელებული პოლიტიკური შემოწირულობების ისეთი შემთხვევები, რომლებიც აჩენდა კითხვის ნიშნებს შემომწირველების კეთილსინდისიერებასა და შემოწირულობების კანონიერებასთან დაკავშირებით. ასევე, ხშირად ერთი კომპანიის თანამფლობელები და დირექტორები ერთსა და იმავე პერიოდში სწირავდნენ თანხებს. დაფიქსირდა ასევე შემთხვევები, როცა კომპანიები ან მათი დამფუძნებლები თანხებს სწირავდნენ მმართველ პარტიას, რის შემდეგაც იგებდნენ მსხვილ ტენდერებს.

►► სსიპ-ების და სხვა დამოუკიდებელი საჯარო დაწესებულებების ავტოპარკი და საწვავის ხარჯები - ანალიზმა ნათლად აჩვენა ავტოპარკის რაციონალურ განკარგვასთან დაკავშირებული გამოწვევები. IDFI-ის რეკომენდაციით, აუცილებელია სახელმწიფო ავტოპარკის ცენტრალიზებული სერვისის ჩამოყალიბება, რომლის მართვაში მოექცევა ყველა სახელმწიფო უწყების ბალანსზე არსებული ავტომობილი.



►► სამინისტროებსა და სსიპ-ებში ხელშეკრულებით დასაქმების პრაქტიკა - ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ბოლო წლებში საჯარო სამსახურში გატარებული რეფორმების მიუხედავად, ბიუროკრატიული აპარატის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საჯარო დაწესებულებებში თანამშრომლების ხელშეკრულებით დასაქმების არსებული პრაქტიკა. კერძოდ, გამარტივებული კონკურსის პირობებში, ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობების ბუნდოვანება და მსგავს პოზიციებზე მნიშვნელოვნად განსხვავებული შრომის ანაზღაურების პრაქტიკა,

<sup>1</sup> Covid 19-თან დაკავშირებული გამაჩვიებული შესყიდვები  
Covid 19-თან დაკავშირებული გამაჩვიებული შესყიდვები - II ნაწილი  
COVID-19-ის პეიოში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები



მნიშვნელოვნად ზრდის ნეპოტიზმისა და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური განკარგვის რისკებს. მსგავს რისკებს, ასევე მნიშვნელოვნად ზრდის ხელშეკრულებით დასაქმების გაუმჭირვალე პროცესი.



► [საქართველოს პარლამენტის საწვავის ხარჯები 2018-2020 წლებში](#) - ანალიზმა აჩვენა, რომ საგანგებო მდგომარეობით დაწესებული შეზღუდვების მიუხედავად, სხვადასხვა დეპუტატებზე განპიროვნებულმა ავტომობილებმა საგანგებო მდგომარეობის პერიოდში უფრო მეტი საწვავი მოიხმარეს, ვიდრე წინა წლის იგივე თვეებში. ასევე, ზოგიერთი პარლამენტარის მიერ ათვისებული საწვავის რაოდენობა ხშირ შემთხვევაში არ იცვლებოდა იმ თვეებშიც, როცა 1 კვირიან ან უფრო ხანგრძლივ მივლინებებში იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ.

► [2015-2020 წლებში საქართველოს ლობისტური საქმიანობის მიმოხილვა](#), რაც მოიცავდა დადებული ხელშეკრულებების ანალიზსა და საქართველოდან განხორციელებული ფაქტობრივი გადარიცხვების შესახებ ინფორმაციას. კვლევამ ცხადყო, რომ 2015-

2020 წლებში აშშ-ში ლობისტურ საქმიანობაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 5 მილიონ აშშ დოლარზე მეტი დაიხარჯა, ხოლო იმავე პერიოდში პოლიტიკურმა პარტიებმა ჯამში ნახევარ მილიონ აშშ დოლარზე მეტი გადაიხადეს. აშშ-ში მოქმედი ლობისტური კომპანიების მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები და მათ საფუძველზე მიღებული თანხები საჯაროა - ინფორმაცია ატვირთულია აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში. სამწუხაროდ, საქართველოში ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი არ არის.

## კორუფციასთან მებრძოლთა საგანმანათლებლო სასერტიფიკატო სასწავლო პროგრამა

2020 წელს IDFI-მ გააგრძელა კორუფციასთან მებრძოლთა საგანმანათლებლო სასერტიფიკატო პროგრამის განხორციელება. პანდემიის შედეგად შექმნილი გამოწვევების საპასუხოდ, პროგრამა გაგრძელდა ონლაინ, ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით. სულ, პროგრამის პირველი ნაწილის განმავლობაში პროგრამის მსმენელებისთვის შეთავაზებულ იქნა რვა მოდული: ძირითადი იდეები, კონცეფციები, თეორიები & სოციალურ მეცნიერებათა პერსპექტივები კორუფციის შესახებ; კარგი მმართველობა; ანტიკორუფციული პოლიტიკა საჯარო დაწესებულებებში, ბიზნეს & არასამთავრობო სექტორებში; კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი რეგულაციები; ელექტრონული მმართველობა კორუფციასთან ბრძოლაში; კორუფცია და პოლიტიკა; კორუფციასთან ბრძოლის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა; თანამედროვე მამხილებლობა & კორუფციის ჟურნალისტური გამოძიება.



აღსანიშნავია, რომ მთელი წლის განმავლობაში უწყვეტად ხდებოდა მოწვეული ლექტორების მეშვეობით მსმენელებისათვის საინტერესო თემებზე დამატებითი ლექციების ორგანიზება. ამ მხრივ აღსანიშნავია ლექცია - ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ, რომელიც ევროსაბჭოში საქართველოს ყოფილმა წარმომადგენელმა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიმართულებით ევროკავშირში მართლმსაჯულებისა და სამოქალაქო საზოგადოების უფროსმა ექსპერტმა, მამუკა ჟლენტმა, წაიკითხა.

პროგრამის გასავლელად, დაახლოებით 500-მდე განაცხადიდან, შერჩეულ იქნა 32 კანდიდატი, რომელთაგან 19-მა დაასრულა პროგრამა.

2020 წლის შემოდგომის სემესტრისთვის, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ახალი მემორანდუმი, რომლის თანახმადაც, მხარეებმა 2020-2021 სასწავლო წლისთვის კორუფციასთან ბრძოლის სასერტიფიკატო მოდულები გარდაქმნეს ილიას უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიურ კურსებად, რომელშიც ჩართვის შესაძლებლობა აქვს როგორც დასახელებული ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების სტუდენტებს, ასევე, კონკურსის შედეგად შერჩეულ კანდიდატებს. ილიას უნივერსიტეტის სტუდენტებს, მაღალი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ სასწავლო კრედიტები (ECTS) და სერტიფიკატები,

ხოლო კონკურსის შედეგად შერჩეული სხვა უნივერსიტეტების სტუდენტები, სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სექტორის წარმომადგენლები, პროგრამის წარმატებით გავლის შედეგად მიიღებენ სერტიფიკატებს.

მემორანდუმის ფარგლებში სულ შემუშავდება 4 აკადემიური კურსი. კერძოდ, საბაკალავრო საფეხურზე შეთავაზებული იქნება „კარგი მმართველობა და კორუფცია“ და „პოლიტიკა და კორუფცია“, ხოლო სამაგისტრო საფეხურზე - „ანტიკორუფციული პოლიტიკის მართვა საჯარო და კერძო დაწესებულებებში“ და „კორუფციასთან ბრძოლა - საერთაშორისო აქტორები, ანტიკორუფციული პლატფორმები“. კორუფციასთან მებრძოლთა საგანმანათლებლო პროგრამის პირველი წლისგან განსხვავებით აკადემიური კურსების გავლის შესაძლებლობა ექნება მთლიანობაში დაახლოებით 100-მდე მონაწილეს.

პროგრამის განახლებულ ფორმატში ჩართვის სურვილი გამოთქვა 300-მდე კანდიდატმა. საბოლოოდ, განაცხადების გადარჩევისა და გასაუბრების საფუძველზე შერჩეულ იქნა 20 მონაწილე საბაკალავრო კურსებისთვის, და 24 მონაწილე სამაგისტრო კურსებისთვის. პროგრამის მონაწილეები არიან როგორც სახელმწიფო, ასევე, არასამთავრობო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, და სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტები.

## სტიპენდიის პროგრამა IDFI-ში



ხელისუფლების საქმიანობის კონტროლის წახალისებისა და ამ მიმართულებით მოქალაქეების უნარების განვითარების მიზნით, IDFI-მ 2020 წელს [საფუძველი ჩაუყარა სტიპენდიის პროგრამას](#). სამი თვის მანძილზე, შერჩეული სტიპენდიანტი ინსტიტუტის მკვლევართან ერთად მუშაობს ანალიტიკურ სტატიებზე ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: საჯარო ფინანსების განკარგვა, სახელმწიფო პროგრამების/პროექტების მიმდინარეობა და ხარჯები, სახელმწიფო შესყიდვები და ა.შ. ასევე, ის ამუშავებს და აანალიზებს საჯარო დაწესებულებებიდან მიღებულ მონაცემებს, და ჩართულია ორგანიზაციის მიმდინარე ცალკეულ პროექტში. 2020 წელს IDFI-ის აღნიშნული პროგრამა სამმა სტიპენდიანტმა გაიარა.



## კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები

2020 წელს IDFI-იმ მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მხარდასაჭერად და ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტის გასაუმჯობესებლად ქვეყანაში. ამ მიზნით, IDFI ამზადებდა კვლევებს, ანგარიშებსა და პოლიტიკის დოკუმენტებს სხვადასხვა საკვანძო და აქტუალურ საკითხებზე; ახორციელებდა სტრატეგიულ სამართალწარმოებას, ცნობიერების ასამაღლებელ აქტივობებს, ასევე მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ადვოკატირებას როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ დონეზე; თანამშრომლობდა შესაბამის საჯარო უწყებებთან და მონაწილეობდა სხვადასხვა დისკუსიებსა და სამუშაო შეხვედრებში. IDFI მომავალშიც გააგრძელებს აქტიურ მუშაობას ქვეყანაში კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების განმტკიცების მიზნით.

## საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეფორმის მხარდაჭერა

2020 წლის 23 იანვარს, IDFI-მ კვლევის **“საქართველოს უზენაესი სასამართლო - ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი”** [პრეზენტაცია](#) გამართა. კვლევა ეხებოდა შემდეგ საკვანძო საკითხებს:

- უზენაესი სასამართლოს როლი და ადგილი სასამართლო სისტემაში;
- უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტება;
- უზენაესი სასამართლოს პალატები;
- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და პალატების თავმჯდომარეები;
- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მოსამართლეთა პასუხისმგებლობა;
- უზენაესი სასამართლოს პლენუმი;
- საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემა უზენაეს სასამართლოში.



კვლევის ანგარიშში ასევე შეფასდა 2019 წელს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის პროცესი და ყურადღება გამახვილდა ამ პროცესში გამოვლენილ პრობლემურ საკითხებზე. ანგარიშში ასახულია საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული რეკომენდაციები, რაც ემსახურება საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემდგომი რეფორმის მხარდაჭერას.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები, ადვოკატები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის, პარლამენტის, ასევე აკადემიური სფეროს წარმომადგენლები. კვლევის პრეზენტაციაზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი დაეთანხმა რეკომენდაციების უმრავლესობას და გამოთქვა მზადყოფნა შემდგომი თანამშრომლობისთვის.

2020 წლის თებერვალში, IDFI-მ სახალხო დამცველის კონსტიტუციურ [სარჩელთან](#) დაკავშირებით სასამართლოს მეგობრის მოსაზრება [წარადგინა](#). IDFI სრულად იზიარებდა სახალხო დამცველის არგუმენტაციას და მიიჩნევდა, რომ “საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის სადავო ნორმები, რომლებიც არეგულირებდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევას, კონსტიტუციის მოთხოვნებს ეწინააღმდეგებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, ოთხი მოსამართლის განსხვავებული [აზრი](#) სრულ თანხვედრაში იყო IDFI-ის მოსაზრებებთან.

2020 წლის სექტემბერში, საქართველოს პარლამენტმა გაითვალისწინა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის წესის ცვლილებასთან დაკავშირებული რეკომენდაცია: საკანონმდებლო დონეზე დადგინდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება და მისი გასაჩივრების შესაძლებლობა.

## საერთაშორისო ადვოკატირება უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში

2020 წლის 2 ივნისს, IDFI-მ გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მესამე ციკლის ფარგლებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საბჭოს [ანგარიში](#) წარუდგინა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- მართლმსაჯულება და სამართლიანი სასამართლოს უფლება;
- გამოხატვის თავისუფლება/ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

2020 წლის 8 დეკემბერს, IDFI-ის კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მიმართულების ხელმძღვანელი - ქეთევან კუკავა უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის წინასასესიო მოსმენის ფარგლებში მოხსენებით [წარსდგა](#) და გაეროში სხვა ქვეყნების მუდმივ წარმომადგენლებს მართლმსაჯულების/სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და გამოხატვის თავისუფლების/

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე ინფორმაცია მიაწოდა. ქეთევან კუკავამ ასევე გააჟღერა კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ დაფუძნებული უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა არის მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს ყველა წევრ სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

IDFI-ის ალტერნატიულ ანგარიშში დასმული არაერთი საკითხი აისახა გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისის [ანგარიშში](#), სადაც შეჯამებულია დაინტერესებული პირების მიერ წარდგენილი ინფორმაცია.

## სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი

2020 წელს IDFI-მ “ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრთან (EMC)” ერთად გამოაქვეყნა რიგით მეორე ჩრდილოვანი [ანგარიში](#) „სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა“. ანგარიშში შეფასებულია შემდეგი ხუთი საკვანძო მიმართულებით განხორციელებული აქტივობები:

1. იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობა და ინსტიტუციური მოწყობა;
2. მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნისა და დაწინაურების სისტემა;
3. მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემა;
4. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინსტიტუციური მოწყობა და საქმიანობის რეგულირება;
5. სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა.



მონიტორინგმა გამოავლინა, რომ 2017 წლიდან 2020 წლის თებერვლის მონაცემებით, ორივე საანგარიშო პერიოდში, ჯამში განხილული 92 აქტივობიდან, შესრულებულია - 35, ნაწილობრივ შესრულებულია - 31, შესრულებულია - 26 აქტივობა.



ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა 2020 წლის 22 ივლისს, ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის [„სასამართლო რეფორმის განხორციელების მხარდაჭერის \(FAIR\)“](#) დახურვის [ღონისძიებაზე](#).

## ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი სტრატეგიის შემუშავებაში ჩართულობა

2020 წლის მარტში, საქართველოს მთავრობის ინიციატივით ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი სტრატეგიის შემუშავების პროცესი დაიწყო. ამ ინიციატივის ფარგლებში, IDFI-მ მთავრობას წარუდგინა [მოსაზრებები](#) და რეკომენდაციები იმ ძირითად მიმართულებებსა და ამოცანებთან დაკავშირებით, რაც ახალი სტრატეგიის ნაწილი უნდა იყოს.

IDFI-ის მოსაზრებები და რეკომენდაციები შემდეგ საკვანძო და აქტუალურ საკითხებს ეხებოდა:

- სამართლიანი სასამართლოს უფლება;
- გამოსატვის თავისუფლება/ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა;
- პროკურატურის დამოუკიდებლობა;
- თანასწორობის უფლება;
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა.

IDFI-ის მოსაზრებების დიდი ნაწილი მიზნებისა და ამოცანების სახით აისახა სტრატეგიის სამუშაო ვერსიაში, რომელიც ახლო მომავალში დამტკიცდება.

## დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის მხარდაჭერა

2020 წლის ივლისიდან, IDFI პარტნიორ ორგანიზაცია “ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრთან (EMC)” ერთად მხარს უჭერს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესებას საგამოძიებო მიმართულებით. ამ მიზნით, ორგანიზაციებმა დაიწყეს კვლევაზე მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო საქმიანობასთან დაკავშირებული გამოწვევებისა და ხარვეზების იდენტიფიცირებას, ასევე შესაბამისი რეკომენდაციების შეთავაზებას. კვლევის ანგარიში საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი 2021 წელს გახდება.

IDFI და EMC ასევე ხელს უწყობენ სამართალდამცავი სისტემის ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით უცხოური კრიტიკული სტატიების ხელმისაწვდომობას ქართულ ენაზე. 2020 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა სტივენ პ. სავაჟის სტატიის [თარგმანი](#) - “მსჯელობა დამოუკიდებლობაზე - პოლიციის ანგარიშვალდებულების საკითხის წამოწევა საჩივრების დამოუკიდებელი გამოძიების გზით.”

## სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის ადვოკატირება

2020 წელს IDFI აგრძელებდა სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის [ადვოკატირებას](#). ამ მიზნით, IDFI-მ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა [მოსაზრებები](#) განსახორციელებელ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით.

IDFI-მ ასევე მონაწილეობა მიიღო "ევროკავშირი საქართველოსთვის" სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში, რომელიც სასამართლო აქტების გამოქვეყნებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის საკანონმდებლო რეგულირების ეხებოდა.

2020 წელს IDFI-მ შეაფასა სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის ხარისხი შემდეგი სამი მიმართულებით: **სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა, პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია, სასამართლო სტატიტიკა** და მოამზადა კვლევა, რომელიც არსებულ ხარვეზებსა და გამოწვევებს აანალიზებს. კვლევა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი 2021 წელს გახდება.

## სტრატეგიული სამართალწარმოება

2020 წლის 15 ივნისს, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა ნაწილობრივ [დააკმაყოფილა](#) IDFI-ის ადმინისტრაციული საჩივარი და გასცა მის მიერ მომზადებული **განზოგადებული დასკვნები დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით**.

ბოლო წლებში, IDFI მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებდა დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნების გასაჯაროების მნიშვნელობაზე. დასკვნების ხელმისაწვდომობა აუცილებელია იმ-

ისტვის, რომ შეფასდეს ინსპექტორის დამოუკიდებლობის ხარისხი, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის ობიექტურობა და პრაქტიკის თანმიმდევრულობა. იმის გათვალისწინებით, რომ კონფიდენციალურობის დაცვის მოტივით ინსპექტორის სამსახურიდან დასკვნების მიღება შეუძლებელი იყო, საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილება და ცალკეული დასკვნების ზოგადი ფორმულირების სახით, მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე გასაჯაროება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

განზოგადებული დასკვნების საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის მნიშვნელობა ასევე აისახა **დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020-2021 წლების სტრატეგიაში**.

2020 წლის 16 იანვარს [თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით](#) სსიპ „საქართველოს ეროვნულ არქივს“ დაევალა ინფორმაციის გაცემა იმის შესახებ, თუ რამდენ განმცხადებელს უთხრა უწყებამ უარი ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტებთან დაშვებაზე და რა საფუძვლით. აღსანიშნავია, რომ სასამართლომ ადგილზე მსჯელობით, მიიღო საქმეზე შემატყობილი გადაწყვეტილება, რაც „საქართველოს ეროვნული არქივის“ არგუმენტების განსაკუთრებული სისუსტით იყო განპირობებული. სასამართლომ სრულად გაიზიარა IDFI-ის სამართლებრივი მსჯელობა და დაადგინა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია უდავოდ წარმოადგენდა ღია, საჯარო მონაცემებს.

## **კვლევა საქართველოში ფარული მიყურადების შესახებ**

2020 წლის სექტემბერში, IDFI-მ გამოაქვეყნა [კვლევა](#) საქართველოში ფარული მიყურადების თაობაზე, რომელიც მიმოიხილავს გამოძიებისა და კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში ფარული მეთოდების გამოყენების მარეგულირებელ სამართლებრივ ჩარჩოსა და არსებულ ხარვეზებს, საერთაშორისო სტანდარტებსა და შეფასებებს, ასევე სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილ ტენდენციებს.

კვლევამ ცხადად აჩვენა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კუთხით საქართველოში არსებული სერიოზული რისკები და გამოწვევები.

## **კოალიციის “დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის” საქმიანობაში მონაწილეობა**

2020 წელს, IDFI აგრძელებდა აქტიურ მონაწილეობას კოალიციის “დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის” საქმიანობაში. IDFI-ის კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მიმართულების ხელმძღვანელმა - ქეთევან კუკავამ მონაწილეობა მიიღო კოალიციის მიერ ორგანიზებულ საჯარო დისკუსიათა ციკლში “კონცეფცია - სამართლიანი სასამართლო”:

- **უზენაესი სასამართლოს რეფორმა** - IDFI-მ ყურადღება გაამახვილა უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების წესზე, ასევე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და პლენუმის უფლებამოსილებებზე.
- **სასამართლო ხელისუფლება და საჯაროობა** - IDFI-მ ისაუბრა სასამართლოს გადან-ყვეტილებების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე.
- **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო** - არსებული გამოწვევები - IDFI-მ განიხილა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის წესთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და ოთხი მოსამართლის განსხვავებული აზრი.

## რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის შესრულების შეფასება

2020 წელს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კოორდინაციითა და აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენტური უწყებების, აგრეთვე სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლების მონაწილეობით მომზადდა სახელმწიფო ანგარიში **რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის შესრულების შესახებ**. ანგარიშის მიზანი იყო რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტისათვის ინფორმაციის მიწოდება საქართველოს მიერ კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. IDFI-მ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარუდგინა წერილობითი [მოსაზრებები](#) სახელმწიფო ანგარიშის პროექტით გათვალისწინებულ ორ საკითხთან დაკავშირებით:

- ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და სიძულვილის ენასთან ბრძოლა;
- სასამართლო სისტემის რეფორმა.

## მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის მონიტორინგი

2020 წლის ივნისში, IDFI-მ “ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრთან (EMC)” ერთად გამოაქვეყნა [ანალიზი](#) მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის კუთხით კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზებისა და გამოწვევების შესახებ.

ანალიზი ასევე მოიცავდა კონკრეტულ რეკომენდაციებს დისციპლინური სამართალწარმოების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.



## გამოხატვის თავისუფლების შესახებ ცნობიერების ამაღლება

2020 წელს, გამოხატვის თავისუფლების თაობაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, IDFI აგრძელებდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზს. IDFI-მ გამოაქვეყნა ორი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიმოხილვა:

- [Brzeziński v. Poland](#) - საქმე შეეხებოდა პოლონეთის **საარჩევნო კანონმდებლობას**, რომელიც სასამართლოს უფლებას აძლევს 24 საათის განმავლობაში შეამოწმოს ინფორმაციის უტყუარობა და შეზღუდოს მისი გავრცელება. სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ ამ ნორმის საფუძველზე განმცხადებლის მიმართ მიღებული ზომები არღვევდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებას.
- [Magyar Kétfarkú Kutya Párt v. Hungary](#) - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ეს გადაწყვეტილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ის ეხება **გამოხატვის თავისუფლებისა და ტექნოლოგიების** ურთიერთმიმართების საკითხს. დიდმა პალატამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობას დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისთვის.

## კვლევა სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე

2020 წლის მაისში, IDFI-მ “ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრთან (EMC)” და “კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრთან (CRRC)” ერთად გამოაქვეყნა [ანგარიში](#) “სასამართლოს ხელმისაწვდომობა - მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები”.

ანგარიშში შეჯამებულია სასამართლოს ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით საქართველოს ქართულენოვანი, სრულწლოვანი მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები. იგი მოკლედ მიმოიხილავს შემდეგ საკითხებს: საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება საქართველოს სასამართლოების მიმართ, მოსახლეობის მიერ სასამართლოში საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ვადების, ხარჯებისა და სასამართლოს ხელმისაწვდომობის შეფასება, მოსახლეობის ინფორმირებულობა დავის ალტერნატიული მექანიზმებისა და იურიდიული დახმარების ცენტრების შესახებ, ასევე მოსახლეობის სასამართლოსთვის მიმართვიანობის პრაქტიკა.

## ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხილული საქმეების სტატისტიკის შეფასება

2020 წლის 4 ნოემბერს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 70 წლის იუბილზე, IDFI-მ გამოაქვეყნა ვიზუალიზაცია, რომელიც ეხებოდა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხილული საქმეების სტატისტიკას.

სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა ევროპული კონვენციის ყველაზე ხშირად დარღვეული მუხლები საქართველოში.



## მოსახლეობის გამოკითხვა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის შესახებ


უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა კანდიდატების დანიშვნის პროცესის შესახებ საქართველოს მოსახლეობის ცოდნისა და დამოკიდებულების დასადგენად, IDFI-ისა და „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ დაკვეთით „CRRC-საქართველომ“ 2020 წლის 30 იანვრიდან 10 თებერვლამდე პერიოდში სატელეფონო გამოკითხვა ჩაატარა.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, საქართველოში მოსახლეობის აზრი გაყოფილია მართლმსაჯულების ინსტიტუტების მიმართ ნდობის თვალსაზრისით. რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის პროცესს, მოსახლეობის ნახევარზე მეტს სმენია ამ პროცესის შესახებ, ამ პროცესის მიმართ ნდობა მაღალი არ არის, ახალდანიშნულ მოსამართლეებზე კი უმეტესობას არაფერი სმენია.

IDFI ყოველწლიურად აანალიზებს მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის “**კანონის უზენაესობის ინდექსის**” შეფასებებს საქართველოსთან მიმართებით. 2020 წლის კანონის უზენაესობის ინდექსის [ტანახმად](#), საქართველოში კანონის უზენაესობის მდგომარეობა 0,60 ქულით არის შეფასებული (მაქსიმალური 1 ქულა). საქართველო 42-ე ადგილს იკავებს შეფასებულ 128 ქვეყანას შორის. მოცემული მაჩვენებლებით საქართველოს პოზიცია წინა წელთან შედარებით 0,01 ქულითა და 1 პოზიციით გაუარესდა.

# BTI TRANSFORMATION INDEX

2020 წელს IDFI-მ ასევე [გაანალიზა](#) საქართველოს დემოკრატიულობის ხარისხი **ბერთელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსის** (BTI) მიხედვით. მიმოხილვამ აჩვენა, რომ 2018 წელთან შედარებით 2020 წელს საქართველოს დემოკრატიულობის ხარისხი რამდენიმე მიმართულებით გაუარესდა. კანონის უზენაესობის მიმართულებით ანგარიში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ სერიოზულ გამოწვევებზე, მაღალი დონის კორუფციის სავარაუდო ფაქტების გამოძიებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ასევე პროკურატურის დეპოლიტიზირების აუცილებლობაზე.



## კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვის მხარდაჭერა პანდემიის დროს

2020 წლის მაისში, IDFI-მ გამოაქვეყნა [დოკუმენტი](#) და [ვიზუალიზაცია](#), რომლებიც მიმოიხილავდა საგანგებო მდგომარეობის დროს კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საერთაშორისო სტანდარტებს, ასევე ანალიზებდა შემდეგ ფუნდამენტურ უფლებებთან დაკავშირებულ ძირითად გამოწვევებს: სამართლიანი სასამართლოს უფლება, გამოხატვის თავისუფლება/ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.



გარდა ამისა, IDFI ხელისუფლებას [მოუწოდებდა](#) მკაფიოდ განემარტა საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგ არსებული შეზღუდვების სამართლებრივი საფუძვლები, [რათა უზრუნველყო კანონიერებისა და თანაზომიერების პრინციპების დაცვა](#). აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის ჭარბი უფლებამოსილების მინიჭება დღემდე რჩება გამომწვევად.

2020 წლის აგვისტოდან, IDFI-იმ ევროკავშირის მხარდაჭერით დაიწყო პანდემიისას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და კანონის უზენაესობასთან დაკავშირებულ საკითხებზე [პროექტის განხორციელება](#). ამ პროექტის ფარგლებში IDFI-იმ მოამზადა ორი ჩაღრმავებული კვლევა და ანალიტიკური შეფასებები.

პირველი ჩაღრმავებული კვლევა დაეთმო პანდემიისას [დადგენილი შეზღუდვების დარღვევისთვის გამოყენებული პასუხისმგებლობის ზომების კონსტიტუციურობის საკითხს](#). კვლევით გამოვლინდა, რომ საქართველოს პარლამენტმა აღმასრულებელ ხელისუფლებას ირიბად ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედებების განსაზღვრის უფლებამოსილება გადასცა, რაც საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნათა დარღვევის მნიშვნელოვან რისკებს შეცავდა. სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თვალსაზრისით, გამოვლინდა არამხოლოდ კონსტიტუციურობის არამედ კანონიერების პრობლემაც. სახელდობრ, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ხელოვნურად გააფართოვა საქართველოს პარლამენტის მიერ მკაფიოდ განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შინაარსი. სახელდობრ, საქართველოს პარლამენტმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად აღიარა პირბადის ტარების წესის დარღვევა დახურულ სივრცეებში, თუმცა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, ამ მუხლის შემადგენლობა გააფართოვა და მასში ღია სივრცეში პირბადის ტარების წესის დარღვევაც შეიყვანა. [IDFI-ის შეფასებით მთავრობის ამგვარი ქმედება “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონისა და კონსტიტუციის დარღვევის ნიშნებს შეიცავდა](#).

პანდემიასთან ბრძოლის მიზნით მიღებული ნორმატიული აქტების მიერ კონსტიტუციის დარღვევის თაობაზე არსებულ კითხვებზე პასუხის გაცემის ფორმალური კომპეტენცია მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია. [ამდენად, IDFI-იმ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო აღნიშნული ინსტიტუტის საქმიანობას](#). კვლევის შედეგად, გამოვლინდა



რომ სასამართლოში პანდემიისას მოქმედ შეზღუდვების კონსტიტუციურობაზე შეტანილი იყო 15 მდე კონსტიტუციური სარჩელი, თუმცა მათ საკონსტიტუციო სასამართლო არ განიხილავდა. იმავდროულად, შესაბამისი კონსტიტუციური სარჩელების, მათი განხილვის დინამიკის და საკონსტიტუციო სასამართლოში განხორციელებული საკადრო ცვლილებები ტოვებდა საქმეთა განხილვის ხელოვნურად გაჭიანურების შთაბეჭდილებას. IDFI-მ სასამართლოს მოუწოდა დროულად განეხილა შესაბამისი კონსტიტუციური სარჩელები. **კვლევის გამოქვეყნებიდან მალევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შეიმუშავა დისტანციური სხდომის ჩატარების წესი და პანდემიისას მოქმედ შეზღუდვებთან დაკავშირებით პირველი არსებითი განხილვის სხდომაც ჩაატარა.** თუმცა, პანდემიასთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ სარჩელებზე საკონსტიტუციო სასამართლოს ამ დრომდე არცერთი არ მიუღია.

## პროკურატურის დამოუკიდებლობის ხელშეწყობა

ევროკავშირის მხარდაჭერით IDFI-მ მოამზადა და 2020 წლის 13 მაისს დასკვნით ღონისძიებაზე წარადგინა „დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში პროკურატურის წინაშე არსებული გამოწვევების“ შესახებ პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის ფარგლებშიც მოხდა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე, ოჯახურ დანაშაულზე, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე სისხლის სამართლის სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგად არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და მათი ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შეთავაზება.


2020 წლის განმავლობაში IDFI-მ გამოაქვეყნა ანალიზი გენერალური პროკურორის შერჩევის პროცესთან დაკავშირებით, სადაც შეფასებულია გენერალური პროკურორის შერჩევის საკანონმდებლო რეგულირება და პრაქტიკა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის შესახებ მოსახლეობის დამოკიდებულების გარკვევის მიზნით, 2020 წლის განმავლობაში IDFI-მ გამოაქვეყნა გამოკითხვის შედეგები, რომლებიც გახმაურებულ საქმეებზე პროკურატურის საქმიანობის შეფასებას და ზოგადად პროკურატურის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების განსაზღვრას ახდენდა:

- გამოკითხვის **შედეგი 1**: საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება პროკურატურის მიმართ
- გამოკითხვის **შედეგი 2**: პროკურატურის მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებისა და ცოდნის შესახებ კვლევის შედეგები

საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება  
პროკურორების მიმართ

ახალი კორონავირუსის შედეგად შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, IDFI-მ მოამზადა [ვიზუალიზაცია](#) საგანგებო მდგომარეობის დროს პროკურატურის მუშაობის სპეციფიკასთან დაკავშირებით. ამასთან, ორგანიზაციამ ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობაზე კორონავირუსის პანდემიის გავლენის თაობაზე გამოაქვეყნა [სტატია](#), რომლის ფარგლებშიც მიმოხილულია COVID-19-ის პირობებში ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის კუთხით რელევანტური უწყებების, მათ შორის, პროკურატურის როლი და ასახულია რეკომენდაციები არსებული გამოწვევების საპასუხოდ.





## ადგილობრივი თვითმმართველობა და დეცენტრალიზაცია

IDFI-მ 2020 წელს კიდევ უფრო გააფართოვა ადგილობრივ თვითმმართველობაზე თავისი საქმიანობა. ინსტიტუტი აქტიურად მუშაობდა ექვს მუნიციპალიტეტში ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის პრინციპებისა და ღია მონაცემების სტანდარტების გასაუმჯობესებლად.

### ონლაინ კონფერენცია ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის პრინციპების გაძლიერების საკითხებზე



18 დეკემბერს, IDFI-მ, გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაციის, Luminate-ის მხარდაჭერით, [ჩაატარა ონლაინ კონფერენცია](#) სახელწოდებით, **ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის პრინციპების გაძლიერება**. კონფერენციის მიზანი გახლდათ ადგილობრივ დონეზე გამჭვირვალობის, მმართველობის ხარისხის, მუნიციპალური სერვისების მიწოდებისა და მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით არსებული გამოწვევების, დაგეგმილი რეფორმების, საჭირო ინტერვენციებისა და ინიციატივების მიდგომების განხილვა. ამ მიზნით, ღონისძიებაზე ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების, ექსპერტების, დონორებისა და ადგილობრივი, ასევე, ცენტრალური, ხელისუფლების წარმომადგენლების ჩართულობით, გაიმართა პანელური დისკუსიები შემდეგ საკითხებზე:

- ▶ ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა: არსებული საჭიროებები, მიმდინარე რეფორმები და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის როლი
- ▶ გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დანერგვა ადგილობრივ დონეზე

- ▶▶ მოქალაქეთა ჩართულობის წახალისება ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესებში
- ▶▶ მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაზრდა

კონფერენციაზე მოხსენებები გააკეთეს ამ საკითხებზე მომუშავე წამყვანი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე, სხვადასხვა საჯარო დაწესებულების წარმომადგენლებმა და საკითხის სპეციალისტებმა.

კონფერენციის პანელებისა და მომხსენებლების შესახებ დეტალური ინფორმაციის სანახავად, იხილეთ ფორუმის [დღის წესრიგი](#).

## ონლაინ კონფერენცია რიცხვებში



**+120**

**მონაწილე**



**23**

**მომხსენებელი**



**4**

**სესია**

IDFI-ის YouTube არხზე ხელმისაწვდომია კონფერენციის სესიების ჩანაწერები:

- ▶▶ [კონფერენციის გახსნა](#)
- ▶▶ [პანელი I: ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა: არსებული საჭიროებები, მიმდინარე რეფორმები და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის როლი](#)
- ▶▶ [პანელი II: გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დანერგვა ადგილობრივ დონეზე](#)
- ▶▶ [პანელი III: მოქალაქეთა ჩართულობის წახალისება ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესებში](#)
- ▶▶ [პანელი IV: მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაზრდა](#)


## გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დანერგვა საქართველოს მუნიციპალიტეტებში

IDFI, USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში (GGI), Tetra Tech ARD ფინანსური მხარდაჭერით, დაეხმარა [თელავის](#), [ლაგოდეხის](#), [სენაკისა](#) და [ზუგდიდის](#) მერიებს შემუშავებინათ კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის ამალგების სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები. სტრატეგიული დოკუმენტების მიზანია ადგილობრივ დონეზე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით მერიების შესაძლებლობების გაძლიერება, მერიებში მმართველობითი პროცესების დახვეწა, ღიაობის, გამჭვირვალობისა და ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების დანერგვა ისევე, როგორც საჯარო ეთიკისა და კეთილსინდისიერების სტანდარტების ამალგება.

რეალური და ფაქტებზე დაფუძნებული სტრატეგიების შექმნის მიზნით, IDFI-მ მოამზადა შერჩეული მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობის, კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების მიმართულებით არსებული სიტუაციის სიღრმისეული ანალიზი. კვლევის პროცესში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები და ინტერვიუები როგორც მერიების, ასევე ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების (სამოქალაქო საზოგადოება, მედია, აკადემიური წრეები და ბიზნესი) წარმომადგენლებთან.

სიტუაციური ანალიზის ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზებისა და იდენტიფიცირებული გამოწვევების აღმოსაფხვრელად, შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე, განისაზღვრა სტრატეგიების პრიორიტეტული მიმართულებები, მიზნები და ამოცანები. გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიის საფუძველზე კი თითოეული მუნიციპალიტეტისთვის შემუშავდა სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა. სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში საჯარო კონსულტაციების გზით უზრუნველყოფილი იყო დაინტერესებული პირების ჩართულობა.

მიღებული სტრატეგიული დოკუმენტების სრულყოფილად განხორციელება შესაძლებლობას მისცემს ოთხივე მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებს, უკეთ უპასუხონ ადგილობრივ გამოწვევებსა და მოქალაქეების საჭიროებებს, გააუმჯობესონ მმართველობის სისტემა, გაზარდონ საზოგადოების ნდობა, შეამცირონ კორუფციული რისკები და გააუმჯობესონ მუნიციპალური სერვისების მიწოდების ხარისხი.



## ადგილობრივი საჯარო მოხელეების შესაძლებლობების გაძლიერება გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საკითხებზე


გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და კეთილსინდისიერების საკითხებზე მუნიციპალურ ორგანოებში დასაქმებული საჯარო მოხელეების ცნობიერების გასაზრდელად, IDFI-მ 2020 წლის ნოემბერ-დეკემბერში ონლაინ ტრენინგები ჩაატარა [ლაგოდეხის, თელავის, სენაკისა და ზუგდიდის](#) მერიისა და მერიის დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული პირების წარმომადგენლებისთვის. ტრენინგი მიზნად ისახავდა ანტიკორუფციული მექანიზმების მიმართულებით საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების გაძლიერებას. ტრენინგები წარიმართა საჯარო მოხელეებისთვის შექმნილი სპეციალური, **გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სახელმძღვანელოს** მიხედვით.

## ღია მონაცემების მართვისა და გამოქვეყნების გაუმჯობესება მუნიციპალიტეტებში

2020 წელს IDFI, USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში (GGI), Tetra Tech ARD ფინანსური მხარდაჭერით, გორის, ზუგდიდის, თელავის, ლაგოდეხის, ოზურგეთისა და სენაკის მერიებს ღია მონაცემების პოლიტიკის გასაუმჯობესებლად საჭიროებების კვლევასა და ამ საკითხზე ცნობიერების ამაღლებაში დაეხმარა. ინიციატივის ფარგლებში, ხსენებულ მუნიციპალიტეტებში შესწავლილ იქნა მონაცემების ხელმისაწვდომობის, ასევე, ღია მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და გამოქვეყნების პრაქტიკა, საკანონმდებლო ბაზა, რის შედეგადაც გამოიკვეთა მერიების საჭიროებები და მომზადდა პრაქტიკული რეკომენდაციები.

გარდა ამისა, საჯარო მოხელეებისთვის მომზადდა [ღია მონაცემების სახელმძღვანელო](#). მასში მოცემულია ღია მონაცემების მნიშვნელობა და ძირითადი სტანდარტები, ამასთან, განხილულია ის სახელმძღვანელო პრინციპები, რაც საჯარო მოხელეებმა ღია მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და გამოქვეყნების პროცესში უნდა გაითვალისწინონ.

შემუშავებული სახელმძღვანელოს საფუძველზე [ჩატარდა ონლაინ ტრენინგები](#) ექვსივე მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებისთვის ღია მონაცემების განკარგვისა და გამოქვეყნების საკითხებზე.





## მედია, ინტერნეტი და ინოვაციები

2020 წელს IDFI დემოკრატიული პროცესების გასაძლიერებლად, ასევე, კოვიდ პანდემიის შედეგად შექმნილი ახალი გარემოებების საპასუხოდ, აკვირდებოდა მედია გარემოს, ინტერნეტის ხელმისაწვდომობასა და საჯარო სექტორში ინოვაციების გამოყენების პრაქტიკას. ინსტიტუტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ხელისუფლების მიერ ინიცირებულ იმგვარ (საკანონმდებლო) ინიციატივებს, რომლებიც მომავალში პოტენციურად უარყოფით გავლენას მოახდენდა გამომხატვის თავისუფლებისა და კიბერუსაფრთხოების კუთხით არსებულ სიტუაციაზე. რის პასუხადაც, IDFI სწავლობდა საერთაშორისო პრაქტიკებს და ხელისუფლებას აწვდიდა საკუთარ რეკომენდაციებს. აღნიშნული წელი ასევე მნიშვნელოვანი იყო ორგანიზაციისთვის ხელოვნური ინტელექტის საკითხზე კვლევითი და ცნობიერების ამაღლების საქმიანობის გააქტიურებით.

## წარმატებული ადვოკატირება ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ კანონის საღვრ ცვლილებების წინააღმდეგ



IDFI-ის წარმატებული ადვოკატირების შედეგად, IX მოწვევის პარლამენტმა ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ ინიცირებული პრობლემური [კანონპროექტი არ მიიღო](#). 2019 წლის ოქტომბერში ინიცირებული ცვლილებები თავიდანვე სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა და სფეროს ექსპერტების [კრიტიკის საგანი გახდა](#). დაინტერესებულ მხარეებთან პრინციპულ საკითხებზე შეუთანხმებლობის გამო, საკანონმდებლო ცვლილებების მიღება პირველად 2020 წლის ივნისში შეფერხდა. მესამე მოსმენით განხილვის ეტაპამდე მისული კანონპროექტი მეორე მოსმენის [რეჟიმს დაუბრუნდა](#).


IDFI აქტიურად იყო ჩართული კანონპროექტის განხილვისა და ცვლილებებთან დაკავშირებული რისკების შესწავლის პროცესში. Counterpart International-ისა და ამერიკის

შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, ინსტიტუტმა დეტალურად შეისწავლა კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები, ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევები და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა. კვლევის პროცესში კანონპროექტთან დაკავშირებით კიბერუსაფრთხოების ექსპერტების, საჯარო დაწესებულებების, აკადემიის, კერძო და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მოსაზრებების გასათვალისწინებლად, გაიმართა სამუშაო შეხვედრები.

საბოლოო ჯამში, [მომზადდა ყოვლისმომცველი კვლევა და შესაბამისი რეკომენდაციები](#). IDFI-მ კვლევა და რეკომენდაციები 22 სექტემბერს [ონლაინ კონფერენციაზე წარადგინა](#). ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა სადავო კანონპროექტის ავტორი, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ირაკლი სესიაშვილიც. ასევე, IDFI-ის სპეციალური მოწვევით, კონფერენციაზე პოლიტიკისა და ადვოკატირების მრჩეველმა, ხავიერ რუიზ დიაზმა კიბერუსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტები მიმოიხილა. ღონისძიებას კიბერუსაფრთხოების ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტები, საჯარო და კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების, მედიისა და აკადემიური წრეების, აგრეთვე საელჩოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

## ინტერნეტის თავისუფლება საქართველოში

მე-7 წელია IDFI-ის მედია, ინტერნეტისა და ინოვაციების მიმართულების ხელმძღვანელი Freedom House-ის დამხმარე ავტორია და მონაწილეობს საქართველოზე ინტერნეტის თავისუფლების ყოველწლიური ანგარიშის მომზადებაში.



2020 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული გლობალური ანგარიშის მიხედვით, [საქართველომ](#) 100-დან 76 ქულა აიღო და ინტერნეტ თავისუფლების მხრივ შეფასდა, როგორც „თავისუფალი“ ქვეყანა. 2019 წელთან შედარებით, ქვეყნის ქულა, საერთო ჯამში, [ერთით გაუმჯობესდა](#).

ანგარიშის მიხედვით, მართალია ქვეყანაში ციფრული უფლებები ზოგადად დაცულია, მაგრამ ბოლო პერიოდში გახშირდა კიბერშეტევები და შეინიშნება ონლაინ კონტენტის მანიპულაციის ტენდენციები. ასევე, ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის ზრდის მიუხედავად, ინტერნეტ ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული სამთავრობო ინიციატივები ნელა მიმდინარებს.

## ინტერნეტის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების ტენდენციები საქართველოში

კორონავირუსის გავრცელებისა და შემოღებული შეზღუდვების პირობებში მკვეთრად გამოჩნდა ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა. ამის საპასუხოდ, IDFI-მ სხვადასხვა წყაროსა და მონაცემებზე დაყრდნობით, გაანალიზა ინტერნეტის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების ტენდენციები, ხელისუფლების მიერ ინიცირებული საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტის სტატუსი, ასევე, მოსწავლეებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ტენდენციები. [ანალიზმა](#) სხვა გარემოებებთან ერთად აჩვენა, რომ მოსწავლეების ერთი მეხუთედი ვერ ახერხებს სასწავლო პროცესში ეფექტურად ჩართვას ინტერნეტის ან კომპიუტერის უქონლობის გამო.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მომზადდა [ვიზუალიზაცია](#).



## ბავშვების ციფრული უსაფრთხოება - რჩევები მშობლებს

პანდემიის გამო ინტერნეტმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, მათ შორის ბავშვებში. ამის ფონზე ნათლად წარმოჩინდა მშობლების ციფრული წიგნიერების გაზრდის აუცილებლობა. ამ მიმართულებით მშობლების ცნობიერების ასამაღლებლად, არასამთავრობო ორგანიზაციასთან - მშობლები განათლებისთვის - თანამშრომლობით მომზადდა პრაქტიკული და ინფორმაციული ვიდეო ინსტრუქციები მშობლებისთვის შემდეგ თემებზე:


- ▶▶ [ბავშვები და ონლაინ ვიდეო თამაშები](#)
- ▶▶ [ბავშვები სოციალურ ქსელში](#)
- ▶▶ [კიბერჰიგიენის 6 წესი](#)
- ▶▶ [როგორ შევამციროთ ციფრული რისკები](#)

ამავდროულად, IDFI-ის მედია, ინტერნეტი და ინოვაციების მიმართულების ხელმძღვანელი უძღვებოდა [ონლაინ ვებინარს](#), რომლის ფარგლებშიც მშობლებს მიაწოდა ინფორმაცია და პრაქტიკული რჩევები თუ როგორ შეიძლება დაიცვან მშობლებმა შვილები ციფრული საფრთხეებისგან.

## საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში

ელექტრონული მმართველობისა და ინოვაციების დანერგვის კუთხით საერთაშორისო ტენდენციების გასაცნობად, IDFI სწავლობდა სხვადასხვა რეიტინგებში საქართველოს შედეგებს და გამოვლენილი ტენდენციების საფუძველზე ამუშავებდა რეკომენდაციებს.

საქართველომ გაეროს [2020 წლის ელექტრონული მმართველობის კვლევაში](#) ელექტრონული მმართველობისა (ელ-მმართველობის) და ელექტრონული ჩართულობის (ელ-ჩართულობის) განვითარების კუთხით ქულები მცირედით გაიუმჯობესა. თუმცა, ელ-მმართველობის ინდექსის რეიტინგში ქვეყნის პოზიცია ხუთი ადგილით დაქვეითდა, ელ-ჩართულობის მხრივ კი პირიქით,




შვიდი პოზიციით დაწინაურდა. რეგიონის ქვეყნების შედეგების [ანალიზმა](#) აჩვენა, რომ საქართველო ამ მიმართულებით ნელი ტემპით ვითარდება და თანდათან კარგავს შანსს, გახდეს რეგიონის ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანა ელ-მმართველობის რეფორმების კუთხით.

ასევე, 2020 წლის გლობალური ინოვაციების ინდექსი (GII) შედეგებით, რეიტინგში საქართველოს პოზიცია 15 ადგილით [გაუარესდა და 48-დან 63-ე ადგილზე ჩამოქვეითდა](#). ინდექსმა, კონკრეტული ინდიკატორების მეშვეობით, ინოვაციური განვითარების მხრივ, საქართველოს ძლიერი და სუსტი მხარეები წარმოაჩინა. საქართველო რეიტინგში უსწრებს სომხეთსა და აზერბაიჯანს, თუმცა მნიშვნელოვნად ჩამორჩება უკრაინას, რუსეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს.

## საქართველოს საჯარო სექტორში ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენება

2020 წელს IDFI-მ, არაკომერციული სამართლის საერთაშორისო ცენტრის (ICNL) ფინანსური მხარდაჭერით, დაიწყო საჯარო დაწესებულებების მიერ ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენების შესწავლა. [ინიციატივის მიზანია](#), საჯარო სექტორში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დროს გამჭვირვალობისა და ეთიკური სტანდარტების დანერგვა. ამ მიზნით, შესწავლილ იქნა ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენების მთავარი მახასიათებლები და საერთაშორისო სტანდარტები, პრინციპები და ეთიკური ნორმები, გაანალიზდა საჯარო სექტორში მათი გამოყენების საერთაშორისო მაგალითები და საქართველოს პრაქტიკიდან გამომდინარე, შემუშავდა რეკომენდაციები. ინსტიტუტი კვლავაც აგრძელებს მუშაობას ამ საკითხზე საჯარო მოხელეებისა და ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და შემუშავებული რეკომენდაციების ადვოკატირების მიმართულებით.



## IDFI-ის ჩართულობა საქართველოს ინტერნეტმმართველობის 2020 წლის ფორუმში

2020 წლის 3 დეკემბერს, საქართველოს ინტერნეტმმართველობის 2020 წლის ფორუმის ფარგლებში, IDFI-მ კოორდინაცია გაუწია ერთ-ერთი პანელის ორგანიზებას, რომელიც ეხებოდა საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების ეკოსისტემასა და არსებულ გამოწვევებს.

პანელის მომხსენებლები იყვნენ:

- ▶ ლევან ავალიშვილი - პროგრამების დირექტორი, IDFI
- ▶ მარი მალვენიშვილი - დირექტორი, კიბერუსაფრთხოების საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრი
- ▶ ნატა გოდერძიშვილი - კიბერუსაფრთხოების სტრატეგიული, იურიდიული და საერთაშორისო მიმართულებების ხელმძღვანელი, ციფრული მმართველობის სააგენტო
- ▶ ლიზა პასტი - კიბერუსაფრთხოების ბიზნეს განვითარების ხელმძღვანელი, Cybernetica

იხილეთ პანელის მთლიანი ჩანაწერი: <https://youtu.be/evqQWjbiy8?t=836>

## რეფორმის შედეგების ანალიზი: საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსება და რეიტინგი

2017 წლიდან მიმდინარეობდა საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმა, რასაც მაუწყებლის ტექნიკური განახლება, ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენება და გადაცემების რეიტინგის გაუმჯობესება უნდა მოჰყოლოდა. IDFI დაინტერესდა როგორ მიმდინარეობდა რეფორმირების პროცესი 2017-2019 წლებში და მოჰყვა თუ არა მას სასურველი შედეგი და მოამზადა შესაბამისი [ანალიზი](#).

## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (GNCC) საქმიანობის გამჭვირვალობის გამომწვევები

2020 წელს IDFI-მ გააგრძელა GNCC-ის და მის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „მედიაკადემიის“ [საქმიანობის](#) მონიტორინგი. მედიაკადემიის შემთხვევაში ამ დაწესებულებამ იმ არგუმენტით, რომ ის არ წარმოადგენდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, უარი განაცხადა მოეწოდებინა სხვადასხვა ტიპის საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, „მედიაკადემიის“ თანამშრომლების საშტატო ნუსხა, მედიაკადემიაში მოქმედი „მედიალაბის“, „მედიაკრიტიკისა“ და „მედიას-კოლის“ ფუნქციების განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტების ასლები, მათ მიერ განხორციელებული აქტივობები დანახარჯების მითითებით, მათი ბიუჯეტი და სხვა. GNCC-მ კი IDFI-ის ადმინისტრაციული სარჩელი არ განიხილა იმ მოტივით, რომ ის არ წარმოადგენდა საქარ-

თველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ „მედიაკადემიის“ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამ ეტაპზე, დავა სასამართლოში მიმდინარეობს. ეს გარემოებები მიაჩნებს GNCC-ის და მიერ მიერ დაფუძნებული [ა\(ა\)იპ „მედიაკადემიის“](#) საქმიანობის გაუმჭირვალობაზე.



არსებული გაუმჭირვალე საქმიანობის ფონზე, IDFI-მ შეისწავლა მედიაკრიტიკის პლატფორმის ვებგვერდზე საჯაროდ განთავსებული მასალები, [გაანალიზა](#) მათი შინაარსი და ავტორების შესახებ ინფორმაცია. მედიაკრიტიკის კონტენტის ანალიზმა სხვა ტენდენციებთან ერთად, აჩვენა, რომ კრიტიკის უმეტესი ნაწილი მიემართება ისეთ მედიას, რომელსაც პლატფორმის ექსპერტები ხშირად „ოპოზიციურ“ ან „პარტიულ“ მედიას უწოდებენ. Facebook-ზე დასპონსორებული სტატიების უმეტესი ნაწილიც სწორედ ასეთ მედიაზე მოდის.

გარდა ამისა, IDFI-მ მიმოიხილა GNCC-ის მიერ გაუმჭირვალედ და დაუსაბუთებლად მიღებული რამდენიმე გადაწყვეტილება სტატიაში - [„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობაში არსებობს გამჭვირვალობის ხარვეზები“](#).

## **IDFI-ის ჩართულობა კოალიციაში მედიის ადვოკატირებისთვის საქმიანობაში**

მთელი წლის მანძილზე IDFI აქტიურად იყო ჩართული კოალიციის მედია ადვოკატირებისთვის შეხვედრებსა და აქტივობებში. კოალიციის წევრი ორგანიზაციები მუდმივად აკვირდებოდნენ ქვეყანაში არსებულ მედია გარემოს და გამოკვეთილი პრობლემების შესახებ აქვეყნებდნენ საკუთარ შეფასებებსა და განცხადებებს. მაგალითად, კოალიციამ საკუთარი შეხედულებები გაავრცელა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

- [2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დღეს ჟურნალისტთა უფლებების დარღვევის ფაქტები](#)
- [აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ირგვლივ განვითარებული მოვლენები](#)
- [„TV პირველის“ გარშემო განვითარებული პროცესები](#) და სხვა.



## ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა

ქვეყანაში არსებული გამოწვევების ფონზე, როდესაც მოსახლეობის დაახ. 20% სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა და ქვეყანაში არსებული დაბალი ცხოვრების დონე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, ქვეყნისათვის არსებითია ეფექტური სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, რომელმაც გრძელვადიან პერიოდში უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის ზრდა.

2020 წელს IDFI-მ განაახლა საქმიანობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების ანალიზის მიმართულებით. IDFI-ის ამ მიმართულების ძირითად მიზანს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის პერიოდული მიმოხილვა და ანგარიშების მომზადება, ფინანსური და ეკონომიკური განათლების ამაღლება და ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორების განვითარების ხელშეწყობა. განახლებული სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში IDFI გეგმავს:

- გაანალიზოს ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობა და შეიმუშავოს რეკომენდაციები ეკონომიკური პოლიტიკის გასაუმჯობესებლად;
- გამოსცეს სექტორული კვლევები და ხელი შეუწყოს ინფორმაციის გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას;
- განახორციელოს მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკის მონიტორინგი;
- ხელი შეუწყოს ფინანსური და ეკონომიკური განათლების ამაღლებას.

2020 წელს, IDFI-ის მიერ ეკონომიკისა და სოციალური პოლიტიკის მიმართულებით განხორციელებული კვლევითი საქმიანობა უმეტესწილად ეხმიანებოდა ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიით შექმნილ მდგომარეობას. ანალიტიკური ნაშრომები მიმოიხილავდა როგორც, ვირუსის გავრცელების, ასევე მოსალოდნელი ეკონომიკური კრიზისის თვალსაზრისით არსებულ რისკებს. კერძოდ, გაანალიზდა ინფექციური დაავადებების სტატისტიკა საქართველოში, საგანგებო ბიუჯეტის ასიგნებები და სხვა.

სოციალური სოლიდარობის ფარგლებში, საქართველოში კორონავირუსის გავრცელების საწყის ეტაპზე, IDFI-მ საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით შექმნა კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევების ანალიტიკური პორტალის პროტოტიპი, რომელიც წარუდგინა საქართველოს დაავადებათა კონტროლის ცენტრს. ასევე, IDFI-მ სოციალურად დაუცველ პირებს გადასცა 2000 ერთეული ვირუსისგან დამცავი პირბადე.

2020 წელს IDFI-მ განახორციელა სახელმწიფო სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების მონიტორინგი, რომლის ფარგლებში ბენეფიციარი მოწყვლადი ჯგუფებისათვის პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა რეკომენდაციები. მათ შორის, „ონკოლოგიური მკურნალობის ხელმისაწვდომობა საქართველოში“ კვლევის ფარგლებში შეფასდა შემდეგი სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობა:

- საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა;
- რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა;
- დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი;
- ბავშვთა ონკოპემატოლოგიური მომსახურება;
- ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან დაფინანსებული ჯანდაცვის პროგრამები

## საქართველოს ხელისუფლების ანტიკრიზისული მიმოხილვა და მის ფარგლებში განხორციელებული ხარჯების მონიტორინგი

ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით, IDFI-მ ივლისში [დაიწყო](#) Covid-19-თან დაკავშირებული საჯარო ფინანსების, საჯარო შესყიდვების, მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის შესულების, StopCov ფონდის ხარჯვისა და დონორთა დახმარების განაწილების მონიტორინგი. წლის ბოლოსთვის, პროექტის ფარგლებში, 200-მდე საჯარო დაწესებულებას სულ გაეგზავნა 480 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა, საიდანაც პასუხი მიღებულია 326 მოთხოვნაზე. მიღებული ინფორმაციისა და საჯაროდ ხელმისაწვდომი მონაცემების ანალიზის საფუძველზე მომზადდა რამდენიმე ანალიტიკური ნაშრომი შემდეგ საკითხებზე:

► **პანდემიის წინააღმდეგ მიღებული საბიუჯეტო ზომების ანალიზი** - მიმოიხილავს პანდემიის ფარგლებში მიღებული ზომების გავლენას საქართველოს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და ანტიკრიზისული გეგმის პირველი ეტაპის დახმარებების სტრუქტურას.

► **აგროდიზალით ხელშეწყობის პროგრამის მონიტორინგის შედეგები** - კვლევაში განხილულმა გარემოებებმა, მნიშვნელოვანი კითხვები გააჩინა პროგრამის ეფექტიანობასთან დაკავშირებით. გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად და პროგრამის ეფექტურობის გასაზრდელად IDFI-მ ხელისუფლებას კონკრეტული რეკომენდაციები შესთავაზა.





## მეხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევები

მეხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევების მიმართულება, ძირითადად, მუშაობს საბჭოთა წარსულისა და მემკვიდრეობის სიღრმისეულ კვლევაზე, არქივების ღიაობის ხელშეწყობასა და დეზინფორმაციის თანამედროვე კამპანიების ანალიზზე. ამ მიმართულებით IDFI-მ შექმნა “სტალინური სიები”, არქივების ღიაობის საერთაშორისო რეიტინგი, გამართა საერთაშორისო კონფერენციები საარქივო საქმიანობასა და მეხსიერების კვლევებზე, გამოაქვეყნა საარქივო დოკუმენტებზე დაფუძნებული არაერთი კვლევა, სტატია და ანგარიში დეზინფორმაციის ტენდენციებზე. მიმართულება შეისწავლის ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლთა ისტორიებს, აქტიურად მუშაობს მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად და ადვოკატირებს ამ კუთხით ეფექტური სახელმწიფო მეხსიერების პოლიტიკის შემუშავებისთვის. ამ ეტაპზე IDFI აწარმოებს კამპანიას ბათუმში, 2019 წელს საჯაროდ გაცხადებული, საბჭოთა ტერორის მსხვერპლთა მასობრივი სამარხის საფუძვლიანი შესწავლისა და რეპრესებულთათვის სოციალური დახმარების გაზრდისთვის. ასევე, რეგულარულად აქვეყნებს კვლევით სტატიებს საბჭოთა წარსულზე, მასთან დაკავშირებულ კოლექტიურ მეხსიერებასა და რუსულ დეზინფორმაციაზე. დამატებით, IDFI-ის ორგანიზებით, ხშირად იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიება, გამოფენა, ლექცია, საგანმანათლებლო ტური და კონკურსი, რომელთა მიზანია მოსახლეობაში საბჭოთა წარსულისა და მემკვიდრეობის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

### არქივების ღიაობის შეფასება

2020 წლის მაისში IDFI-მ დაასრულა „ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტოს ფონდის“ (OSI) მიერ დაფინანსებული პროექტი „სახელმწიფო არქივების ღიაობის ხელშეწყობა ყოფილ საბჭოთა და აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებში“ და გამოაქვეყნა არქივების ღიაობის განახლებული [საერთაშორისო რეიტინგი, კვლევის შედეგები და ძირითადი მიგნებები](#). აღნიშნული პროექტი ორგანიზაციამ 2017 წელს დაიწყო. 2017-2018 წლების პროექტის ფარგლებში შეიქმნა სახელმწიფო არქივების ღიაობის შეფასების მეთოდოლოგია და შეფასდა 10 ყოფილი საბჭოთა ქვეყნის 20 არქივი. 2019-2020 წლებში რეიტინგს აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის 8 ახალი ქვეყანა დაემატა. პროექტის შედეგად თითოეულ ქვეყანაში შეფასდა 2 არქივი. შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, IDFI-მ სერთიფიკატები გაუგზავნა თითოეულ შეფასებულ არქივს, რომელშიც ასახული იყო შესაბამისი არქივის მიერ არქივების ღიაობის საერთაშორისო რეიტინგში დაკავებული პოზიცია.

## არქივების ღიაობის ადვოკატირება

IDFI 2020 წელსაც განაგრძობდა როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო დონეზე არქივების ღიაობის ადვოკატირებას. თებერვალში IDFI-ის მეხსიერების კვლევებისა და დებიზ-ფორმაციის მიმართულების ხელმძღვანელი, ანტონ ვაჭარაძე და ანალიტიკოსი, მეგი ქარცივაძე დასწრენ კონფერენციას ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში (CEU). კონფერენციაზე IDFI-ის ინიციატივით, ჩატარდა მრგვალი მაგიდის დისკუსია თემაზე „არქივების ღიაობა და მეხსიერების პოლიტიკა პოსტ საბჭოთა და ყოფილი აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნებში“, რომელზეც განიხილეს რეგიონის არქივებში არსებული პრობლემები და არქივების ღიაობის ადვოკატირების კამპანია, რომელსაც IDFI უძღვება. ორგანიზაციას დაგეგმილი ჰქონდა კიდევ არა ერთ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა, მაგრამ COVID-19-ის პანდემიის გამო ვიზიტები გაუქმდა. მიუხედავად ამისა, არქივების ღიაობის ადვოკატირებას საქართველოს ფარგლებს გარეთ [ენგოდნენ](#) IDFI-ის საერთაშორისო პარტნიორებიც. ხორვატულ ჟურნალში @rhivi (8/2020; ISSN 2584-4148) გამოქვეყნდა ანტონ ვაჭარაძის სტატია - „სახელმწიფო არქივების ღიაობა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსა და აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებში“. ასევე, IDFI გვერდზე გამოქვეყნდა [სტატია](#) და ვიზუალიზაცია - „ფოტოკამერის გამოყენების დაშვება საქართველოს არქივებში - აუცილებელი ნაბიჯი არქივების ღიაობისკენ“.

COVID-19-ის პანდემიის გამო შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, IDFI-მ საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, ჩატარა კვლევა - „სახელმწიფო არქივების ღიაობა კორონავირუსის პანდემიის პირობებში ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში და აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებში“. კვლევის მიზანი იყო გაერკვია, როგორი დონის ღიაობა შესთავაზა ამა თუ იმ სახელმწიფო არქივმა მკვლევრებს კორონავირუსის პანდემიისა და საყოველთაო კარანტინის დროს და როგორ მოახერხა თანამედროვე რეალობასთან ადაპტირება, აგრეთვე, შეიმუშავეს თუ არა სახელმწიფო არქივებმა სამომავლოდ, მსგავს სიტუაციებში მოქმედების სტრატეგიული გეგმა. კვლევისთვის IDFI-მ შეადგინა კითხვარი, რომელიც არქივში მუშაობის გამოცდილების მქონე საერთაშორისო პარტნიორებმა შეავსეს. შეფასებაში მონაწილეობდნენ ორგანიზაცია პარტნიორები შემდეგი ქვეყნებიდან: აზერბაიჯანი, ბელარუსი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, საქართველო, სომხეთი, უკრაინა უნგრეთი და ყაზახეთი. კვლევის [შედეგები](#) გამოქვეყნდა 2020 წლის ნოემბერში.

## კამპანია რეპრესირებულთა საყოფაცხოვრებო სუბსიდიის გაზრდის მოთხოვნით

IDFI-მ, საზოგადოება "მემორიალთან" ერთად, ფართომასშტაბიან [კამპანია](#) დაიწყო, რომლის ფარგლებში პირველი აქტივობა რეპრესირებულთათვის განკუთვნილი საყოფაცხოვრებო სუბსიდიის გაზრდის მოთხოვნაა, რადგან სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა სოციალური კატეგორიებისთვის დაწესებულ საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობებს შორის, ყველაზე დაბალი, 7 ლარიანი დახმარება (ჩერნობილის ბირთვული ობიექტის შემხებლობაში მყოფ პირებთან ერთად), სწორედ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირებისთვისაა გათვალისწინებული. ამ

თემაზე ორგანიზაციამ გამოქვეყნდა კვლევები: „[პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სამართლებრივი რეაბილიტაციის მექანიზმები საქართველოში და მათი შეფასება](#)“ და „[პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სოციალური დახმარების სტატისტიკა](#)“.

სუბსიდიის ზრდის მოთხოვნით, IDFI-მ ღია წერილით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, რომელიც რეაგირებისთვის გადაეგზავნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს. სამინისტროდან მიღებული პასუხის თანახმად, საქართველოს 2020 წლის ბიუჯეტის თანახმად, სუბსიდიის ზრდა გათვალისწინებული არ იყო. გარდა ამისა, სამინისტროს პოზიციით, მხოლოდ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ პირთათვის საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობის გაზრდა გამოიწვევდა საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღები სხვა კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა უკმაყოფილებას ანალოგიური შეღავათით სარგებლობის მოთხოვნით.



2020 წლის ივლისში, IDFI-მ [ichange.gov.ge](#)-ზე გამოაქვეყნა [პეტიცია](#) რეპრესირებულთათვის საყოფაცხოვრებო სუბსიდიის 44 ლარამდე გაზრდის მოთხოვნით, თუმცა პეტიციამ კანონით დადგენილ 30-დღიან ვადაში 10,000 ხელმოწერა ვერ დააგროვა, შესაბამისად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში შექმნილ ელექტრონული პეტიციის ექსპერტების კომისიას იგი არ განუხილავს. მიუხედავად ამისა, ორგანიზაციამ განაგრძო სოციალური კამპანია.

რეპრესირებულთა სოციალური დახმარების საკითხის აქტუალიზაციის მიზნით, IDFI-მ გამართა [შეხვედრები](#) საზოგადოებასთან როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში და დაიწყო რეპრესიების მსხვერპლებთან და მათ შთამომავლებთან ჩანერილი ინტერვიუების გამოქვეყნება. IDFI-მ საერთო ჯამში სამჯერ მიმართა ღია წერილით საქართველოს პრემიერ-მინისტრს, თუმცა ყველა მათგანზე პასუხი უარყოფითი იყო.

## მეხსიერების კვლევები

IDFI-მ გამოაქვეყნა არა ერთი სტატია საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით. ასევე, ორგანიზაციამ შეაფასა საქართველოს მეხსიერების პოლიტიკა 1991 წლიდან დღემდე სამი მიმართულებით: სამართლებრივი, ინსტიტუციური და მემორიალური და გამოაქვეყნა [კვლევის შედეგები](#).

2020 წელსვე, საბჭოთა ოკუპაციისა და რეპრესიების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კუთხით, ორგანიზაციამ გამართა [საბჭოთა ოკუპაციისადმი მიძღვნილი საგანმანათლებლო კვირეული](#), რომლის ფარგლებშიც გაიმართა გამოფენები, საჯარო ლექციები და ექსკურსიები.



ამასთანავე, სტუდენტებში მეხსიერებისა და საბჭოთა წარსულის კვლევების წახალისებისა და პოპულარიზაციის მიზნით, IDFI-მ ჩაატარა ესეების კონკურსი სტუდენტებისთვის [„საბჭოთა ტერორი საქართველოს მეხსიერებაში“](#). კონკურსის შედეგად, გამოვლინდა ორი გამარჯვებული, რომელთა ესეების გამოქვეყნდა IDFI-ის ვებგვერდზე: [„გასაბჭოება - საბჭოური კოლექტიური მეხსიერების პირველი საფეხური“](#) და [„1930-იანი წლების რეპრესიების მეხსიერება - რას და რატომ ვიხსენებთ?“](#).


IDFI, ასევე, მართავს Facebook გვერდს [„ბიოგრაფიები: 1937-1938 წლების მასობრივი რეპრესიები საქართველოში“](#), რომელზეც სისტემატიურად იდება საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა ბიოგრაფიები და ისტორიები მათი ცხოვრების შესახებ. აღნიშნულ გვერდს დღესდღეისობით 6,000-ზე მეტი გამომწერი ჰყავს.



2020 წელს IDFI-იმ [გამოაქვეყნა](#) 2019 წელს გამართული კონფერენციის - „სახელმწიფო არქივების ღიაობა და მეხსიერების კვლევები“ თეზისების კრებული ინგლისურად და რუსულად. წიგნში შევიდა 25 საერთაშორისო მეცნიერის სტატია.

IDFI-ის მეხსიერების კვლევებისა და დეზინფორმაციის მიმართულების ხელმძღვანელმა, ანტონ ვაჭარაძემ უკრაინის კათოლიკური უნივერსიტეტის ორგანიზებით გამართულ [ონლაინ კონფერენციაზე](#) „წარსული, რომელიც არსად მიდის: მეხსიერების კულტურა და პოლიტიკა პოსტ-საბჭოთა სივრცეში“ მიმოიხილა თანამედროვე საქართველოში სტალინის პერსონის აღქმა, გორში არსებული სტალინის სახლ-მუზეუმი და რამდენიმე ადგილას აღდგენილი ძეგლების პრობლემური საკითხები.

IDFI-მ, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით, გამოსცა რიგით მეორე [მემორიალური ალბომი](#), რომელიც საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის გამორჩეულ პოლიტიკურ მოღვაწეს, ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილს ეძღვნება. ალბომში წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული და შსს არქივებში დაცული დოკუმენტები და ფოტომასალა, ასევე მასალა საოჯახო კოლექციებიდან.



## რეპრესირებულთა სამარხები

IDFI ხელგაჩაურში ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მიერ საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა მასობრივი სამარხის აღმოჩენიდან ერთი წლის შემდეგაც აქტიურადაა ჩართული აღნიშნული ადგილის კვლევისა და რეპრესირებულთა ხსოვნის უკვდავყოფის საქმეში. ორგანიზაციამ 2020 წელსაც არა ერთხელ გასცა [რეკომენდაციები](#) ხელისუფლების მისამართით, რომ გააქტიურდეს მუშაობა ნეშტების იდენტიფიცირების მიმართულებით და სამარხების აღმოჩენის ადგილზე მოეწყოს საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა მემორიალური კომპლექსი. ამასთანავე, IDFI-მ მოიპოვა International Coalition of Sites of Conscience-ის დაფინანსება და წამოიწყო [პროექტი](#) „საქართველოში აღმოჩენილი საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლთა პირველი მასობრივი სამარხის შესახებ ცნობიერების ამაღლება“.

ონლაინ დისკუსია  
აჭარაში აღმოჩენილი საბჭოთა რეჟიმის  
მსხვერპლთა პირველი მასობრივი  
სამარხების საკითხზე

22 დეკემბერი, 2020

IDFI ინფორმაციის თავისუფლების  
განვითარების ინსტიტუტი

პროექტის ფარგლებში გაიმართა მრგვალი მაგიდის [დისკუსია](#), რომელზეც სიტყვით გამოვიდა აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის წარმომადგენელი, დეკანოზი დიმიტრი (სარჯველაძე) და ქელის მეჩეთის იმამი, ქართველ მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარე, ჯამბულ აბულაძე. მოხსენებების შემდეგ, დისკუსიაში მონაწილეობდნენ ხელისუფლების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლები, რეპრესირებულთა შთამომავლები, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი და მისი მოადგილე, მეცნიერები და მკვლევრები. დისკუსიაზე განხილული იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა: რეპრესირებულთა ისტორიების შესწავლა, მათთვის სათანადო პატივის მიგება და ხსოვნის უკვდავყოფა.

## დეზინფორმაციის კვლევები

2020 წელს IDFI აქტიურად მუშაობდა დეზინფორმაციისა და პროპაგანდის კვლევებზე. დეზინფორმაციის შესახებ ანალიტიკური სტატიები, ბლოგები, ინფოგრაფიკები და ვიდეოები ქვეყნდებოდა როგორც უშუალოდ IDFI-ის ვებგვერდზე, ასევე ორგანიზაციის მიერ შექმნილ სპეციალურ ვებგვერდზე - [www.damoukidebloba.ge](http://www.damoukidebloba.ge).

IDFI, ასევე, აქტიურად მუშაობდა COVID-19-ის შესახებ გავრცელებული დეზინფორმაციის იდენტიფიკაციასა და გაბათილებაზე. გამოქვეყნდა არა ერთი სტატია პანდემიის დროს [ვირუსთან დაკავშირებით](#) წამოწყებული დეზინფორმაციის კამპანიების, [ლუგარის ლაბორატორიის წინააღმდეგ წამოწყებული საინფორმაციო ომისა](#) და [ჯანდაცვის სამინისტროზე განხორციელებული კიბერშეტევის](#) შესახებ.

IDFI, ასევე, აქტიურად მუშაობს დეზინფორმაციის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კუთხით. ბათუმის ამერიკული კუთხის (American Corners Batumi) ორგანიზებით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მეხსიერების კვლევებისა და დეზინფორმაციის მიმართულების ხელმძღვანელმა, ანტონ ვაჭარაძემ და ანალიტიკოსმა, მეგი ქარცივაძემ ჩაატარეს საჯარო [ლექციები](#) თემაზე „რუსული პროპაგანდა: იმპერიიდან თანამედროვეობამდე“. ანტონ ვაჭარაძემ ისაუბრა რუსული პროპაგანდის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე რუსეთის იმპერიიდან მეორე მსოფლიო ომამდე, მეგი ქარცივაძის ლექცია კი ეხებოდა რუსულ პროპაგანდას ცივი ომისა და პოსტ საბჭოთა პერიოდებში ისევე, როგორც თანამედროვეობაში.





## ტრენინგები და ლექციები

### ტრენინგები ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმების შესახებ

2020 წელს, IDFI-ის წარმომადგენლებმა ჩაატარეს პრაქტიკული [ტრენინგები](#) რეგიონებში მოღვაწე ჟურნალისტებისთვის, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის, სტუდენტებისა და აქტივისტებისთვის ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმებისა და მეთოდების, მათ შორის, საჯარო მონაცემებთან მუშაობის შესახებ. ტრენინგის დროს IDFI-ის წარმომადგენლებმა მონაწილეებს მიაწოდეს ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

- ▶ როგორ აღმოვაჩინოთ და გადავამოწმოთ საეჭვო გარემოებები სახელმწიფო შესყიდვებში;
- ▶ როგორ ვაკონტროლოთ სახელმწიფო ბიუჯეტის მიზნობრივი განკარგვა;
- ▶ როგორ მოვიპოვოთ საჯარო მონაცემები ხელისუფლების საქმიანობის შესახებ; და
- ▶ როგორ გამოვიყენოთ საჯარო ინფორმაცია.




### ონლაინ ვებინარი / ტრენინგი კორონავირუსთან დაკავშირებული დანახარჯების მონიტორინგის საკითხებზე

Covid-19-ის გავრცელებასთან ერთად, აქტუალური გახდა პანდემიასთან ბრძოლის სახელმწიფო ხარჯების, განსაკუთრებით გამარტივებული შესყიდვებისა და ჯანდაცვის მონაცემების ანალიზი. ამ მიმართულებით, ჟურნალისტებისთვის, მკვლევრებისა და სამოქალაქო აქტივისტებისთვის IDFI-ის გამოცდილების გასაზიარებლად, გაიმართა [ონლაინ ვებინარი](#), რომელსაც ინსტიტუტის მკვლევრები უძღვებოდნენ.

## FATF-ის მე-8 რეკომენდაცია არაკომერციული იურიდიული პირებისთვის

2020 წლის ივნისში, ევროკომისიის პროექტის “Global Facility on Anti-Money Laundering and Countering the Financing of Terrorism (GF-AML/CFT)” ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის გაიმართა ტრენინგი სახელწოდებით: [FATF-ის მე-8 რეკომენდაცია არაკომერციული იურიდიული პირებისთვის](#). საქართველოში ტრენინგის ორგანიზების მხარდამჭერი იყო „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI). ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი; მედიის განვითარების ფონდი; ევროპის ფონდი; ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI); საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი; კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC); საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო; ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC); სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა); სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED); საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA).



## ინსტიტუციური გაძლიერების ტრენინგები IDFI-ის თანამშრომლებისთვის

2020 წელს IDFI-ის თანამშრომლებს ჩაუტარდათ რამდენიმე ინსტიტუციური განვითარების ტრენინგი მონიტორინგისა და შეფასების, ასევე, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის საკითხებზე. ამ მიმართულებით თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღებასთან ერთად, ორგანიზაციის თანამშრომლები გაეცნენ ინსტიტუტის ახალ შიდა პოლიტიკებს ამ საკითხებზე. ეს შესაძლებლობას მისცემს IDFI-ის მომავალში უკეთ დაგეგმოს და შეაფასოს მისი საქმიანობით მიღწეული შედეგები, და ხელი შეუწყოს სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობას ორგანიზაციის საქმიანობაში.



## კონსულტაციები

### სამოქალაქო კონტროლის ცხელი ხაზი

2020 წელს IDFI კვლავაც განაგრძობდა [სამოქალაქო კონტროლის ცხელი ხაზით](#) შეტყობინებების მიღებასა და ანალიზს. ინსტიტუტმა ცხელი ხაზი 2019 წელს ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგში მოქალაქეების ჩართულობისთვის შექმნა. მისი მეშვეობით, ნებისმიერ მოქალაქეს (მათ შორის აქტივისტს, ჟურნალისტს, ბიზნესის წარმომადგენელს და ა.შ.) შეუძლია მოგვანოდოს (მათ შორის, ანონიმურად) ინფორმაცია საჯარო სექტორში შესაძლო გადაცდომების, საჯარო ფინანსების არასწორი და უკანონო განკარგვის, სავარაუდო კორუფციული დანაშაულის ფაქტების, საჯარო მოხელეთა მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობის, საჯარო ინფორმაციის შეზღუდვის შემთხვევების, ნეპოტიზმის და ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევების შესახებ. 2020 წელს IDFI-მ მიიღო და შეისწავლა 30-მდე მსგავსი შეტყობინება.

IDFI-მ რეპრესირებულთა საყოფაცხოვრებოს სუბსიდიების ზრდის მიზნით პეტიციაზე ხელმოწერისთვის, ასევე ფეისბუქ გვერდის: ბიოგრაფიები, 1937-1938 წლების მასობრივი ტერორი საქართველოში საშუალებით, კონსულტაცია გაუწია 70-ზე მეტ მოქალაქეს. 10-მა საერთაშორისო სტუდენტმა და მკვლევარმა IDFI-სთან კონსულტაცია გაიარა საქართველოს არქივებში დაშვების და საარქივო ფონდებში დაცული დოკუმენტების შესახებ.





## IDFI-ის დონორი ორგანიზაციები

- ევროკავშირი
- LUMINATE
- შვედეთის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SIDA)
- UNITED NATIONS DEVELOPMENT PROGRAMME (UNDP)
- INTERNATIONAL VISEGRAD FUND
- OPEN SOCIETY FOUNDATION
- USAID GOOD GOVERNANCE INITIATIVE IN GEORGIA, TETRA TECH ARD
- EMBASSY OF THE NETHERLANDS IN GEORGIA
- EAST WEST MANAGEMENT INSTITUTE
- OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
- COUNTERPART INTERNATIONAL
- INTERNATIONAL COALITION OF SITES OF CONSCIENCE
- არაკომერციული სამართლის საერთაშორისო ცენტრი (ICNL)
- აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი /კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLOG)
- ევროპის საბჭო
- გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისი



## 2020 წელს დაწყებული პროექტები

### 1. ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი - 2021

**დონორი ორგანიზაცია:** ღია საზოგადოების ფონდი (OSGF)

პროექტის მიზანია საქართველოში გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული თვითმმართველობის ჩამოყალიბება, თვითმმართველობაში საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა და თვითმმართველი ორგანოების მიერ გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრაქტიკის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

### 2. პერსონალური მონაცემების დაცვის მხარდაჭერა საქართველოში

**დონორი ორგანიზაცია:** ნიდერლანდების სამეფოს საეღმოს საეღმო საქართველოში

პროექტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს ყველაზე პრობლემურ სფეროებში პერსონალური მონაცემების დაცვის გაძლიერებას.

### 3. გამჭვირვალობისა და ეთიკური სტანდარტების ხელშეწყობა ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენებაში

**დონორი ორგანიზაცია:** არაკომერციული სამართლის საერთაშორისო ცენტრი (ICNL)

პროექტის მიზანია საჯარო უწყებების მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების საკითხებში მეთი გამჭვირვალობისა და ეთიკური სტანდარტების შემუშავების და დანერგვის ხელშეწყობა.

### 4. საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში და მას შემდეგ კოვიდ-19-თან დაკავშირებული ხარჯების და ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგი

**დონორი:** ევროკავშირი (EU)

პროექტის მიზანია საქართველოში, პანდემიის წინააღმდეგ მიმართული მოქმედებების ეფექტურობისა და პროპორციულობის გაზრდა.

### 5. კარგი მმართველობისთვის სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და ბენეფიციარი მესაკუთრების ღიაობის სტანდარტების გაუმჯობესება

**დონორი ორგანიზაცია:** ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდი

პროექტი მიზნად ისახავს, გააძლიეროს საქართველოში მოქმედი სადამკვირვებლო ჯგუფები და ზოგადად საზოგადოება, რათა მათ უფრო ეფექტურად შეძლონ ხელისუფლებაზე დაკვირვება და მისი გაკონტროლება.

## 6. საქართველოში აღმოჩენილი საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლთა პირველი მასობრივი სამარხის შესახებ ცნობიერების ამაღლება

**დონორი ორგანიზაცია:** INTERNATIONAL COALITION OF SITES OF CONSCIENCE

პროექტის ძირითადი მიზანია საქართველოში აღმოჩენილი საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლთა პირველი მასობრივი სამარხის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

## 7. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის მხარდაჭერა

**დონორი ორგანიზაცია:** ღია საზოგადოების ფონდი

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით საგამოძიებო მიმართულებით, მონიტორინგის, კვლევისა და ადვოკატირების გზით.

## 8. სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის გაუმჯობესება საქართველოში

**დონორი ორგანიზაცია:** აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი / კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLOG)

პროექტის მიზანია სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის გაუმჯობესება, ასევე კანონმდებლობისა და პრაქტიკის ცვლილების ადვოკატირება

## 9. ორგანიზაციული მხარდაჭერა

**დონორი ორგანიზაცია:** შვედეთის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SIDA)

პროექტის მიზანია საქართველოში დემოკრატიისა და კარგი მმართველობის მხარდაჭერა მტკიცებულებებზე დაფუძნებული კვლევების, მონიტორინგისა და ადვოკატირების მეშვეობით

## 10. საქართველოში გამჭვირვალობის და მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ სახელმძღვანელოს განახლებაზე საკონსულტაციო მომსახურების გაწევა

**დონორი:** ევროპის საბჭო

საქართველოში გამჭვირვალობის და მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ სახელმძღვანელოს განახლებაზე საკონსულტაციო მომსახურების გაწევა

## 11. თელავისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების მერიებისთვის გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება

**დონორი ორგანიზაცია:** USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა  
საქართველოში, TETRA TECH ARD

პროექტის მიზანია გააძლიეროს თელავისა და ლაგოდეხის მერიების შესაძლებლობები ადგილობრივ დონეზე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით

## **12. ღია მონაცემების პრაქტიკის განვითარება გორის, ლაგოდეხის, ოზურგეთის, სენაკის, თელავისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების მერიებში**

**დონორი ორგანიზაცია:** *USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა*  
*საქართველოში, TETRA TECH ARD*

პროექტის მიზანია გორის, ლაგოდეხის, ოზურგეთის, სენაკის, თელავის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში კარგი მმართველობის გაუმჯობესება და ღია მონაცემების პოლიტიკის მიმართ ცნობიერების ამაღლება.

## **13. ციფრული უფლებების სამართლებრივი გარანტიების უზრუნველყოფა საქართველოში**

**დონორი ორგანიზაცია:** *COUNTERPART INTERNATIONAL*

პროექტის მიზანია საქართველოში საკანონმდებლო დონეზე ციფრული უფლებების სამართლებრივი გარანტიების უზრუნველყოფა და გაძლიერება.

## **14. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისთვის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება**

**დონორი ორგანიზაცია:** *USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა*  
*საქართველოში, TETRA TECH ARD*

პროექტის მიზანია გააძლიეროს თელავისა და ლაგოდეხის მერიების შესაძლებლობები ადგილობრივ დონეზე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით

## **15. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისთვის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება**

**დონორი ორგანიზაცია:** *USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა*  
*საქართველოში, TETRA TECH ARD*

პროექტის მიზანია გორის, ლაგოდეხის, ოზურგეთის, სენაკის, თელავის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში კარგი მმართველობის გაუმჯობესება და ღია მონაცემების პოლიტიკის მიმართ ცნობიერების ამაღლება.

## **16. თბილისის მერიის ღია მონაცემთა პორტალის კონცეფციისა და ტექნიკური დავალების შექმნა**

**დონორი ორგანიზაცია:** *USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GOOD GOVERNANCE INITIATIVE)* *საქართველოში, TETRA TECH ARD*

პროექტის მიზანია თბილისის მერიის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა ღია მონაცემთა პორტალის განვითარებითა და ღია მონაცემების განკარგვის ეფექტური პრაქტიკის დანერგვით.

## 17. შესაძლებლობების განვითარების გრანტი

**დონორი ორგანიზაცია:** გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისი

გრანტის მიზანია გაზარდოს IDFI-ის შესაძლებლობა მონაცემთა გლობალური ბარომეტრის პირველი გლობალური გამოცემის ფარგლებში რეგიონული ჰაბის როლის შესასრულებლად.

## 18. სახელმწიფო სერვისების დაფარვისა და ხარისხის ზრდა საქართველოს განათლების სისტემაში

**დონორი ორგანიზაცია:** ღია საზოგადოების ფონდი (OSGF)

პროექტის მიზანია COVID-19 პანდემიის პერიოდში, არსებული რეგულაციების ფონზე მიმოიხილოს საქართველოს განათლების სისტემა და გამოავლინოს სწავლის პროცესში არსებული გამოწვევები სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის.



## 2020 წლის ფინანსური ანგარიში

### საოპერაციო შემოსავლები და ხარჯები



**2 310 377 ლ**

შემოსავალი  
გრანტებიდან



**272 785 ლ**

სხვა საოპერაციო  
შემოსავალი



**47 340 ლ**

შემონიშნულობა

**2 630 502 ლ**

სულ შემოსავალი

|                                                                                                      |           |
|------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|
| ხელფასები საშემოსავლო გადასახადის გამოკლებით                                                         | 975,220 ლ |
| საშემოსავლო გადასახადი ხელფასებზე                                                                    | 224,039 ლ |
| მომსახურების ანაზღაურება                                                                             | 216,244 ლ |
| კონსულტაცია და სხვა პროფესიული ხარჯები (თარჯიმნის, საკონსულტაციო მომსახურების, ექსპერტების ჰონორარი) | 193,640 ლ |
| ქვეგრანტები, გრანტები და საპარტნიორო ერთობლივი პროექტები                                             | 151,243 ლ |
| რეკლამა და პიარი (დიზაინი, ვიდეო, ბეჭდვა, გამოცემა, ჟილდოები, მარკეტინგი)                            | 126,950 ლ |
| ლონისძიებები (კონფერენციები, პრეზენტაციები, სემინარები, ტრენინგები)                                  | 71,861 ლ  |
| ვებ-გვერდის განვითარების ხარჯები                                                                     | 65,605 ლ  |

|                                                           |                    |
|-----------------------------------------------------------|--------------------|
| ცვეთა და ამორტიზაცია                                      | 66,932 ლ           |
| საპენსიო გადასახადი                                       | 36,779 ლ           |
| სხვა ხარჯები                                              | 24,339 ლ           |
| სხვა საოფისე ხარჯები და ინვენტარი                         | 19,299 ლ           |
| ფინანსური, საბუღალტრო და აუდიტორული მომსახურება           | 18,009 ლ           |
| თანამშრომლების დაზღვევა                                   | 16,714 ლ           |
| საპროცენტო ხარჯი                                          | 11,767 ლ           |
| ტრანსპორტირება (ადგილობრივი მივლინება, საწვავი, სასტუმრო) | 10,231 ლ           |
| კომუნიკაციის ხარჯი                                        | 7,308 ლ            |
| კომუნალური ხარჯი                                          | 7,199 ლ            |
| მოგზაურობა (საერთაშორისო მივლინება, დღიური ნორმა)         | 5,991 ლ            |
| სატრანსპორტო საშუალების ტექმომსახურება და დაზღვევა        | 5,118 ლ            |
| საბანკო ხარჯები                                           | 4,755 ლ            |
| საფოსტო ხარჯი                                             | 2,160 ლ            |
| საკანცელარიო ხარჯები                                      | 1,880 ლ            |
| ოფისის იჯარის ხარჯი                                       | 1,056 ლ            |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>                             | <b>2,264,340 ლ</b> |

## ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)



ტ. შევჩენკოს ქ. 20, თბილისი, 0108;



+995 32 2 92 15 14



[Info@idfi.ge](mailto:Info@idfi.ge)



[www.idfi.ge](http://www.idfi.ge)